№ 2894
ოთხშაბათი,
24 აგვისტო

ცნობის ფურცელი

№ 2894
ოთხშაბათი
24 აგვისტო

ბიბლიოთეკა

ფასი ცალკე: ტფილისში—6კ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ-მპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის საქმეებზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადად მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, ზედღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 3

საერო დებულება
1864 წლისა

მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ თითო ეკზემპლიარი „ცნობის ფურცლის" კანტორაში.

---

25 ამა მარიამობისთვეს სოფ. ხციისში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

კნეინა თამარ სვიმონის ასულის ციციშვილისა,

რისაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი მცირე წლოვანი ობლები თავადნი: კონსტანტინე, თომა, პავლე, ანნა და ნინო თომას ძენი და ასულნი, დედა გარდაცვალებულისა ნინო ნიკოლოზის ასული, მამა—სვიმონ გივის ძე, და—მატრონა სვიმონის ასული და ძმები პეტრე და გიორგი სვიმონის ძენი გვერწითლები და სთხოვენ პატივი სცენ დამობრძანდნენ დილის ათ საათზე მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. (1—1)

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული

დრამატიული კურსები

ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.

კურსი 3 წლისაა. საგნები, რომელსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სასცენო ხელოვნება სომხურ, **ქართულ** და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაწყება.

მიღება 20 ავგვისტოდან ყოველ დღე 12-დან 3-მდე და 5-დან 7 საათამდე, კურსების სადგომში.

პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. **კურსებთან არსებობს სცენა.**

(20—319—7) კურსების დამაარსებელი **ს. მ. დოლუხანოვისა**

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **იმაზე ნაკლებ ფასებში დაინიშნოს, რასაც იაფ გაჩრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ. საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.**

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—88)

ქუთაისის მიხეილის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა წლის 1-ლ სექტემბერს ქ. ტფილისს, **ოლგის ქუჩაზე**, დიასამიძის სახლში № 4/a, ბანკის დირექტორის კანცელარიაში, მოხდება, წესდების § 17 ძალით,

საჯარო ვაჭრობა

ამ ბანკში ტფილისის გუბერნიის სოფლის და ქალაქის დაგირავებულ მამულებზე სავალდებულო გადასახადების შემოუტანლობის გამო. მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა იქნება იქვე 16 სექტემბერს.

გასაყიდი მამულების სიები, მათი სივრცე და ვალების რაოდენობა შეიძლება ყოველ დღე ინახულონ ზემოხსენებულ დირექტორის კანცელარიაში".

ბანკის დირექტორი ვ. აბულაძე.

(3—2)

მოწერილობის გამო ქუთაისის გუბერნატორისა აგვისტოს 11 დღიდგან ამავე წლისა № 3424, შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავადი ნ. კ. ხიდირბეგოვი სთხოვს შორაპნის მაზრის ყველა მემამულე თავად-აზნაურთა, აგრეთვე სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების პატრონთა და იმ მესაკუთრე გლეხებს, რომელთაც სანადელო მიწებს გარდა აქვსთ ნასყიდი მიწები, მობრძანდნენ დაბა ყვირილაში 27 ამა აგვისტოს დილით 10 საათზედ, სადაც მოხდება საწინადაწინო და საარჩევნო კრებები წარმომადგენელთა ასარჩევად სამაზრო საბჭოში, რომელიც განიხილავს საკითხს საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავადი ხიდირბეგოვი.

(2—1)

P. S. კერძო მოწოდებანი არავის გაეგზავნება.

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე უმორჩილესად სთხოვს ქუთაისის მაზრის როგორც ყველა მიწათმფლობელს, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, რომელიც ქუთაისის სახაზინო პალატის სიებით იხდის მიწის ბაჟებს მიუხედავად რაოდენობისა, ისე იმ პირთაც, რომელთაც ქალაქს გარე ქუთაისის მაზრაში აქვთ რაიმე უძრავი ქონება, დაფასებული საერობო გადასახადისათვის, არა ნაკლებ თხუთმეტ ათასის მანეთისა; ანუ აღებული აქვთ სავაჭრო მოწმობა პირველის ორის ხარისხისა და სამრეწველო პირველის ხუთის ხარისხისა, მობრძანდნენ ქ. ქუთაისს უსათუოდ 27-ს ამა აგვისტოს დილის ცხრა საათზედ, და **მიიღონ მონაწილეობა** კრებაში ამოსარჩევად ურთიერთ შორის თავიანთ წარმომადგენლებისა. ეს წარმომადგენელნი მონაწილეობას მიიღებენ საგუბერნიო და სამაზრო სათათბირო სხდომებში, რომელიც დაიწყება 30-ს ამა აგვისტოს და რომელიც შეიმუშავებს საერობო (სათემო) დებულებას სახელმძღვანელოდ იმ საგუბერნიო და სამაზრო საერობო (სათემო) დაწესებულებისა, რომელიც შემოღებული იქნება ქუთაისის გუბერნიაში, განსაგებლად და საპატრონოთ გუბერნიისა და თვითეულ მაზრაში საკუთარ სასარგებლო და საჭირო საქმეებისა. (3—6.—1).

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლაევსკისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—10. კვირა-უქმით 10—1-მდის.

ქუთაისში თ. გ. მაჭავარიანის კერძო

საქალებო პროგიმნაზიაში

მისაღები ეგზამენები დანიშნულია ენკენისთვის 5-ს სწავლა დაიწყება ენკენისთვის 9. მთხოვნელთ შეუძლიანთ მიმართონ სასწავლებლის გამგე მის ბინაზე. ლევაშოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. (5—1)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა № 15.

ექიმი

გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—24)

ექიმი

დ. გედევანიშვილი.

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.

ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. (თვ.—328—5).

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სვამს ახალ კბილებს ყოვლგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30. (30—8)

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—6)

პარტიის სიწმინდე

ჩვენის დასელების უკიდურესობა ყველასთვის ცნობილია. „არს ერთი ღმერთი, კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა, და მის გარეშე არავითარი სხვა. ამიტომ თვითეულის კლასის ინტერესებს იცავს განსაკუთრებული პარტია და ერთის მეორესთან ხელჩაკიდებული სვლა შეუძლებელია და უნიადაგო. ყველამ იცის, რა სახელით იხსენიებენ დასელები სხვა პარტიებს და რა საშინელ ომს უცხადებენ, ვინც დასელების ლიტერატურას ადევნებს თვალყურს, იმან იცის, რა სასტიკი დადგენილებებია მიღებული სხვა და სხვა პარტიების წინააღმდეგ. საქმე ისეა დაყენებული, თითქოს ორი მოსისხლე მტერი იბრძოდეს და მათი შერიგება დროებითაც, როცა ორივეს მესამე მძლავრი მტერი თავზედ ეცემა, შეუძლებელი იყოს. „შერიგება—ღალატია იმ კლასისა, რომლის ინტერესებსაც იცავენ დასელები". ასე ფიქრობენ და ჰგონიათ, რომ ცხოვრების რთული პირობები ხელს უწყობენ კლასობრივ კარჩაკეტილობას, პარტიულ სიწმინდეს.

რას გვიჩვენებს სინამდვილე? ჟურნალ „Вопросы жизни"-ში დაბეჭდილი წერილი: „Взаимныя отношенія рабочей партіи и буржуазной демократіи въ Германіи" გვაწვდის ზოგიერთ საინტერესო ცნობებს ჩვენის საკითხის გამოსარკვევად.

ამ წერილში მოყვანილი ცნობები ახასიათებს საზოგადოდ მუშათა პარტიას, რადგან არსად სხვაგან არ არის ისე ძლიერი და წმინდად დაცული მუშათა პარტია, როგორც გერმანიაში. რაც აღმოჩნდება გერმანიის მუშათა პარტიაში, მას, უნდა ვიფიქროთ ადგილი ექნება სხვა ქვეყნების იმგვარსავე პარტიებში.

გერმანიის მუშათა პარტიის საკვირველმა ზრდამ ბევრი ჩააფიქრა. მას ეკუთვნის სამ მილიონზედ მეტი საარჩევნო ხმა ესე იგი მთელი მესამედი ამომრჩეველთა რიცხვისა. რას უნდა მივაწეროთ ეს საკვირველი გაზრდა? [illegible] იმას მივაწეროთ, რომ იზრდება რიცხვი მუშა ხალხისა; შეიძლება იმასაც, რომ აგიტაცია უფრო და უფრო იმხრობს ახალ წევრებს; შეიძლება იმასაც, რომ პარტიის სული, მარქსის სწავლა, მარტივია და ცხოველი; იქნება იმასაც, რომ თვით ცხოვრება, როგორც კლასთა ბრძოლა, სტიქიურად ამრავლებს მუშათა პარტიის რაზმებს. დიახ, ყველა ამას ექნებოდა ადგილი და ხელს შეუწყობდა პარტიის ზრდას, მაგრამ ეჭვი მაინც იბადებოდა, როცა გაიხსენებდი ერთის მხრივ საოცარ სამ მილიონს და მეორეს დევნას, ომს, რომელსაც უცხადებდა ყოველთვის გერმანიის მთავრობა სოციალ-დემოკრატებს.

ეჭვი საფუძვლიანი გამოდგა, როგორც სჩანს წერილის ავტორის გამოკვლევიდან, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ Archiv für sozialvissenschaft uhd sozialpolitik-ში, ბურჟუაზიულ ელემენტის ყოფნა მუშათა პარტიაში ეჭვს გარეშეა. ბევრ ოლქში რიცხვი საარჩევნო ხმისა, რომელიც ეკუთვნის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, აღემატება მუშათა რიცხვს, რომელნიც მონაწილეობას იღებენ არჩევანში. აქედან ცხადია ბურჟუაზიულ ელემენტის მონაწილეობა, თუნდაც ვიფიქროთ, რომ ამ ოლქების ყველა მუშები ეკუთვნიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ძლიერ საინტერესოა ამ მხრივ დიდი ქალაქები. მაგ., კენიგსბერგში ყოველი ასაკის და სქესის მუშები შეადგენდნენ 1895 წელს პროფესიონალურ სტატისტიკით 36% აქტიურ მცხოვრებთა, საარჩევნო ხმები სოციალ-დემოკრატიული პარტიისა 1898 წ. არჩევნებზე შეადგენდა 52%, ყველა საარჩევნო ხმებისას; ალტონაში პირველი კვოტა (ჯამი) შეადგენდა 46%, მეორე—73%. ბურჟუაზიულ და მუშათა ელემენტებს შორის პროცენტობრივ ურთიერთობის გამოსაკვლევად ბ-ნ ბლანკს (ავტორი გამოკვლევისა) გამოუკლია მუშათა საერთო რიცხვიდან დედაკაცნი და ის მამაკაცნი, რომელნიც არა ყოფილა 25 წლისა, საარჩევნო ასაკისა; მერე გამოუანგარიშნია არჩევნებში მონაწილეობის ცნობების მიხედვით რიცხვი მუშათა ხმებისა და შეუდარება იგი საარჩევნო ხმების რაცხვთან, რომელიც მიუღია სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ზედ-მეტი უკანასკნელ რიცხვისა პირველთან შედარებით არის მინიმუმი ბურჟუაზიულ ელემენტის ნაწილისა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. მინიმუმიც კარგა მოზრდილია.

1898 წელს არჩევნების დროს ბურჟუაზიული ელემენტები სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში იყო: მიუნხენში—21%, ბერლინში და მაინის ფრანკფურტში—24%; კენიგსბერგში—31 პროც, გამბურგში—37 პრო., ალტონაში—43 პროც. 1903 წელს არჩევნების დროს ეს ციფრები უფრო გადიდდა: მიუნხენში—39 პროც., ბერლინში—40 პროც., მაინის ფრანკფურტში და გამბურგში—41., კენიგსბერგში—32 პროც., ალტონაში—45 პროც., ნიურენბერგში იყო 47 პროც., შტეტინში—48 პროც., შარლოტენბურგში—56 პროც. თუმცა უკანასკნელ არჩევნის ციფრებს შესწორება სჭირია, რადგან ეს ციფრები გამოანგარიშებულია 1895 წლის პროფესიონალურ გადაწერის ცნობებთან შედარებით, მაგრამ შესწორებაც რომ შევიტანოთ, პროცენტი მაინც შესამჩნევი დარჩება.

რას გვასწავლის ეს ციფრები? პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც არ ჩაკეტილა შეზღუდულ პროგრამის ფარგალში და სურს მიიღოს მონაწილეობა ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში გამარჯვების იმედით, უთუოდ უნდა უკუაგდოს აზრი პარტიის სიწმინდისა, უნდა დაუთმოს ცხოვრებას და შეუშვას თავის სამფლობელოში წარმომადგენელნი სხვა ინტერესებისა, ვიდრე თითონ არის. მონაწილეობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ბურჟუაზიის წარმომადგენლებისა სრულიად იმას არა ნიშნავს რომ პარტიამ უღალატა თავის მიზანს, თავის პროგრამას და დაჰკარგა თვისი კლასობრივი ხასიათი. არა, პარტიას, როგორც ადამიანების კრებულს, თუ განსხვავდება პროგრამის ზოგიერთ მუხლებით სხვებისაგან, უთუოდ აქვს საერთო რამეც სხვებთან. საერთო დროებით უკავშირებს ერთ კლასს მეორე კლასს, თუნდაც ისინი არსებითად მოსისხლე მტრები იყვნენ ერთმანეთისა. ეს ერთობა არც ერთ დაკავშირებულ კლასს არ აკარგვინებს ფიზიონომიას, ცხოვრების ბრძოლაში კი ძალას აძლევს და ამარჯვებს. ვინ იცის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია გაძლიერდებოდა ისე, [illegible] აზრი: ერთობაშია ძალა, და დაჟინებით დარჩენილიყო წმიდა კლასობრივ პარტიად. მოიგონონ ჩვენმა დასელებმა მარქსის სიტყვები: „სოციალური და დემოკრატიული, მუშათა და წვრილი ბურჟუაზიის პარტიები, შეერთდნენ და შექმნეს სოციალ-დემოკრატიული პარტია".

თუ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია მოკლებულია სიწმინდეს, უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიის პარტიასაც ესეთი თვისება აქვს. ჩვენ სტატისტიკური ცნობები არა გვაქვს, მაგრამ შორეული საბუთი კი არის ჩვენის აზრის დასამტკიცებლად. ზოგიერთ მოწოდებას, რომელიც არა პროლეტარიატის ინტერესებზე ლაპარაკობდა, ამშვენებდა ყველასთვის ცნობილი წარწერა. დასელები ალბად ვერა გრძნობდნენ ამ გარემოებას, [illegible] თავის თავზე, როდესაც უკიჟინებდნენ სხვას უწმინდურობას, და ამასთან თავის და უნებურად ასრულებდნენ ცხოვრების კეთილ სწავლას: „შეკრებილი ძალა [illegible] აქცევს".

შ. ჩიტაძე.

დეპეშა

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

22 აგვისტო

კალკუტა. კერზონის იდეამ ბენგალიის განაწილების შესახებ მღელვარება გამოიწვია ადგილობრივ მცხოვრებლებში. ინგლისის მაღაზიების წინ პიკეტებია გამართული, ინგლისის საქონელს ბოიკოტს უცხადებენ. ვინც მკვიდრთაგანი მივა მაღაზიასთან, ყველას აძევებენ, ქალებს ქვებს ესვრიან. მოძრაობას მკაცრი ხასიათი აქვს და, თუ გაგრძელდა, მთავრობის ჩარევა იქნება საჭირო.

ირკუტსკი. მეორე დღეა, რაც ირკუტსკის გუბერნიის ბურიატებს სხდომა აქვთ საერობო რეფორმისა და ლამაიტების დებულების შესახებ. კამათი ბურიატულ ენაზე სწარმოებს.

პორტ-სმუტი, 22 აგვისტო. სამშვიდობო ხელშეკრულობას ნაშუადღევის 5 საათზე მოაწერეს ხელი. დაესწრნენ, რწმუნებულთ გარდა მხოლოდ პირნი—შტატების წარმომადგენლად, მაკ ლენი, ნიუ-ჰემპშირის გუბერნატორი, პორტსმუტის ლორდ-მერი, არსენალის უფროსი და იახტა „მეიფლაუერ"-ის კამანდირი. პროფესორ მარტენსმა თავისთვის დაიგულა ადგილი გემ „დერრენ"-ზე, რომელიც ხუთშაბათს მიდის. („ასსოსიეტედ-პრესსი").

ბერლინი. გერმანიაში ხოლერა ისევ ვრცელდება. ხელ-ახლა აღმოჩნდა ექვსი ავადმყოფი რასტენბურგში და ორიც ჰამბურგში.

მაიკოპში. საბჭომ გადასწყვიტა, 6 აგვისტოს მანიფესტისა და ზავის ჩამოგდების სახსოვრად გახსნას ორი პირველ-დაწყებითი სკოლა და გადაარქვას ოთხს ქუჩას შემდეგი სახელები: ქუჩა „ექვსი აგვისტოსი", ქუჩა „ზავისა",—„ვიტტესი" და მეოთხეს „რუზველტისა".

ნიჟნი-ნოვგოროდი. სავაჭრო სახლში, ორის ეპისკოპოზის თანადასწრებით, პეტერბურგის მისიონერ ბოგოლიუბოვმა წაიკითხა ლექცია სინდისის თავისუფლების შესახებ. საკითხი აძრეს აგრეთვე ყოველ დღიურ სასულიერო გაზეთის დაარსების შესახებ, რადგანაც „ეპარხიალნი ვედომოსტ"-ები ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნილებებსა.

სმოლენსკი. გუბერნატორმა წინადადება მისცა ერობის და ქალაქების გამგეობათ, შეადგინონ სია სახელმწიფო სათათბიროში ასარჩევ კრებისა.

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა: „19 აგვისტოს ჩვენმა რაზმმა კორეაში, დღის 12 საათამდე, მოიგერია რამდენიმე ენერგიული იერიში იაპონელების ექვსის ბატალიონისა და 12 ზარბაზნისა. ამ დროს იაპონელებმა გამოდევნეს ჩვენის რაზმების წინამძღვარი კანკორგუსთან და პოლუჯდიენის უღელტეხილთან.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

23 აგვისტო.

კიევი. კიევ-პეჩორის ლავრის წინამძღვარი არღვევს იმ ცნობას, ვითომც ლავრას 1½ მილიონი მანეთის შეძლება ჰქონდეს. ნამდვილად ლავრას რამდენიმე ასი ათასი მანეთი აქვსო.

ლონდონი. ხელშეკრულობაზე ხელის მოწერის შემდეგ რუსის რწმუნებულნი ნიუ-იორკს წავლენ, შემდეგ ვიტტე [illegible] უნივერსიტეტს ინახულებს. ღვთისმეტყველების საპატიო დოქტორის წოდებას მისცემენ.

ლონდონი. აქ არა სჯერათ რომიდან მოსული ამბავი იაპონიაში რევოლიუციის დაწყების შესახებ. ტყუილია ცნობა კაბულის გადაწვის შესახებ.

პორტ-სმუტი. მიკადოს დეპეშა რუზველტთან: „გმადლობელებთ მივიღეთ მილოცვა, რომელიც ჩვენის რწმუნებულების შემწეობით გამოგვიგზავნეთ. მხურვალე მადლობას გიძღვნით სათვის, რომელიც [illegible] კაცობრიობის ინტერესების დაცვისაკენ, დიდსულოვნად [illegible] თქვენს მეცადინეობას და [illegible] იცოდეთ, რომ ჩვენ გვესმის, თუ რა მნიშვნელოვან როლს თამაშობდით თქვენ ზავის საქმეში".

რომი. „ტრიბუნა" ამტკიცებს ცნობას იაპონიაში რევოლიუციის დაწყების შესახებ. [illegible] გარანტიას იძლევა ამ ცნობის სისწორისას.

პეტერბურგი კრამარენკოს მკვლელ ფინელ მუშა პროკოპეს ჩამოხრჩობა უვადო კატორღაზე შეუცვალეს.

მოსკოვი. მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ. ტრუბეცკოის აზრით სახელმწიფო სათათბირო დიდი რეფორმაა. მას იმედი აქვს, რომ ეს რეფორმა შემდეგში გაფართოვდება ცხოვრების და მიხედვით. სამშობლოს დაწყნარების საქმეში—განსაკუთრებით,—დიდს სამსახურს გაუწევს შემდეგ რუსის თავისუფალი პრესსა. ტრუბეცკოი დარწმუნებულია, რომ სათათბიროში არჩევნების წინ გამოცხადდება თავისუფლება კრებისა, სიტყვისა და წერის, რომელზედაც ეხლა თათბირობენ სოლსკის კომისიაში.

კიშინიოვი. დაასაფლავეს მძარცველების მოკლული ებრაელი ქალი. მიცვალებულს აცილებდა 5 ათასი ებრაელი, რომელთაც მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გამართეს. რუსი მუშები მიესივნენ დემონსტრანტებს. ატყდა აყალმაყალი, [illegible]. ჯარმა გაფანტა ბრბო. დაჭრილია 52, დაიჭირეს 30.

ელისავეტპოლი. შუშაში სიმშვიდეა წინანდელთან შედარებით, მაგრამ მცხოვრებთ ჯერ კიდევ ეშინიათ.

ნიუ იორკი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ პორტ-სმუტის ხელშეკრულობის ტექსტს არ გამოაქვეყნებენ. ვიტტემ უთხრა პრესის წარმომადგენელთა „შეგიძლიანთ მთელს ევროპასა და ამერიკას უთხრათ, რომ ჩვენ მზადა ვართ გამოვაქვეყნოთ ხელშეკრულობის ტექსტი, როგორც კი გამოაქვეყნებენ ინგლის-იაპონიის შეთანხმების ტექსტსო."

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუსულ პრესის აზრი ზავზე. პროგრესიული გაზეთები „რუსკია ვედომოსტი", „რუსკოე სლოვო". „რუს"-ი და სხვანი სიხარულით ეგებებიან დასრულებულ სისხლის ღვრის მოსპობას და იმედს გამოსთქვამენ, რომ რუსეთის მთავრობა, უბედური ომის გათავების შემდეგ, ბეჯით ყურადღებას მიაქცევს შინაურ საქმეებს და შინაგან ცხოვრების მოწესრიგებისათვის იზრუნებსო.

ზავის პირობებზე ეს გაზეთები არას ამბობენ, რადგან ჯერ გარკვეული ცნობა არ მოსულა ამ საგანზე.

ომის მომხრე შოვინისტურ „ნოვოე ვრემია“-ს ჰკუაში არ მოსდის ზავი. ბ. სუვორინი ნაღვლიანადა სწერს: „ამისთანა ცუდი ზავი ჯერ არასოდეს არ შეუკრავს რუსეთს. როცა ვიტტე ამერიკას მიდიოდა, სთქვა: მეტად საეჭვოდ მიმაჩნია ზავიო· იაპონიას ძლიერ სწყალობდა ბედი, ჩვენ-კი ეხლაც ვერსად გავიმარჯვეთ. 21 დღეს გასტანა მოლაპარაკებამ. ამ დროს გენ. ლინევიჩი დეპეშებს ჰგზავნიდა პეტერბურგსა და პორტ-სმუტში, მაგრამ ჯარს-კი არა ჰგზავნიდა იაპონელების წინაამდეგ. იაპონელებმა კი იმავე დროს სახალინი დაიპყრეს და ამით დახმარება გაუწიეს თავიანთ რწმუნებულებს. ამიტომ იაპონელებს ყოველნაირი უპირატესობა ჰქონდათ. თუმცა ასე იყო საქმე, მაინც ზავი შეიკრა. ცუდი ზავი სჯობია კარგ ჩხუბსაო, ასე უნდა ვსთქვათ გულის ტკივილით, მაგრამ გასახარო მაინც სრულებით არა გვაქვს-რა, ჩვენის გაჩირაღდნება და ზაირაღების გაშლა ხომ სულ შეუძლებელია... ჩვენ წავაგეთ ომი და ეგზამენი ვერ დავიჭირეთ. ეს მეტად სამწუხარო ფურცელია ჩვენს ისტორიაში. იაპონელებმა ყველაფერი გაიტანეს, რაც მოითხოვეს და რასაკვირველია, საჭირო მილიარდებსაც მიიღებენ, მხოლოდ სხვა სახით. არ ვიცი, რა ღირს სახალინის სამხრეთი ნაწილი—20 კაპ., თუ 2 მილიარდი? რა ღირს პორტ-არტური და დალნი? რა ღირს რუსეთის სამხედრო სახელი და და მისი გავლენა ევროპისა და აზიის საქმეებზე? რა ღირს ჩვენის ფინანსების შერყევა? ყველა ამ ზარალის გამოანგარიშება შეუძლებელია. ეს ჭეშმარიტად უანგარიშო ზარალია, როგორც უანგარიშოა აგრეთვე იაპონიის სარგებლობაც. უცნაურად მეჩვენა ოფიციალურ პეტერბურგის სააგენტოს დეპეშა: „იაპონელებმა რუსეთის ულტიმატუმი მიიღესო“. მგონია, რომ სიტყვა ულტიმატუმს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ულტიმატუმის მაგივრად უნდა წყნარად დაეწერათ: „რუსეთის პირობა“. იაპონიამ ნამდვილად მხოლოდ ორ მუხლში დაგვითმო: ნეიტრალურ პორტებში იარაღ-აყრილ გემებსა და ჩვენის ფლოტის შეზღუდვაზე აიღო ხელი. იარაღ-აყრილ გემების დათმობას სულ არა აქვს მნიშვნელობა იაპონიისათვის; შორეულ-აღმოსავლეთში ფლოტს ხომ ჩვენ სულ ერთია 20 წელიწადზე ადრე ვერ გავიჩენთ. მანამდე კი იაპონიას ისეთი ფლოტი ეყოლება, რომ არა თუ რუსეთმა, იქნება ამერიკამაც ველარ გაუბედოს გამკლავება...

საიდუმლო პირობა. „რუსკოე სლოვო“-ს [illegible] ირწმუნებიან, რომ საიდუმლო შეთანხმების ძალით, იაპონია დიდ ფულს მიიღებს ჩინეთისაგან მანჯურიის განთავისუფლებისათვისაო.

მანჯურიის მომავალი. გერმანულ გაზ. „პოსტ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: რუსეთის მთავრობას ცნობა მოუვიდა, რომ ჩინეთის მთავრობა ეხლავე ბეჯითად ადგენს პლანს, როგორ მოუაროს მანჯურიას, როცა იაპონია და რუსეთი ჯარს გაიყვანენ იქიდან და ჩინეთს დაუბრუნებენ ამ სადავო პროვინციასაო. მრავალმა სახელმწიფო კაცმა, მაგ. პრინცმა ცზინმა, ჩანჩიდუნმა და სხვებმა მანჯურიის მმართველობის პროექტი წარუდგინეს მთავრობას. ამ პროექტის თანახმად, მუკდენის გუბერნატორი ექვემდებარება ტიანძინის გენერალ-გუბერნატორს; მანჯურიაში ევროპიულად მოწყობილ ჯარს ჩააყენებენ: მუკდენის პროვინციაში 8 ათას ქვეითა ჯარის კაცს, 4 ათას ცხენოსანს, 2 ათას არტილერისტს და 1 ათას საპიორს, გირინის პროვინციაშიაც—ამდენსავე ჯარს, სულ მთელს მანჯურიაში 40 ათასამდე ჯარის კაცს ჩააყენებენ. ყველა უცხოელი მანჯურიაში ჩინეთის სასამართლოს ექვემდებარება; უცხოელებს განუსაზღვრელი უფლება ეძლევათ მანჯურიის ყველა ადგილას დასახლებისა და მოძრავ და უძრავ ქონების შეძენისა. („ნ. ვ.“).

ჩინეთის ჯარის რეორგანიზაცია. ჩინელ გენერალ ჩჟანს და პოლკოვნიკ ვეის ვენაში უთქვამთ „პოლ. კორესპ.“-ის კორესპონდენტისათვის: ჩინეთის მხედრობის რეორგანიზაცია იმდენად სწრაფად მიდის წინ, რომ ეს საქმე ერთის წლის შემდეგ დამთავრებული იქნება. ამას იქით ჩინეთის არმიის ყოველი ნაწილი თანასწორ ღირსებისა იქნება და მთელ არმიას ერთი მთავარ-სარდალი ეყოლება. ყოველი ჩინელი, რომელსაც სამხედრო სამსახური შეჰხვდება, სამს წელიწადს ჯარში იმსახურებს, შემდეგ სამს წელიწადს სათადარიგო ჯარში ჩაირიცხება. მიმდინარე წლის გასულს ჩინეთის არმიას 400 ათასი კაცი ეყოლება, 9 წლის შემდეგ —1,200,000. („ს.“).

ადმ. როჟესტვენსკი. ვინმე „ძველი მეზღვაური“ სწერს „გრაჟდანინ“-ში: „ხუთის წლის წინად ადმ. როჟესტვენსკი ფლოტის არტილერიის რაზმის უფროსად იყო რეველის რეიდზე და გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს მანევრის დროს შემდეგი ფოკუსი უჩვენა: ერთბაშად ზარბაზნები დაახალა და მტრის ესკადრა მთლად ჩასძირა! ძლიერ ვნანობთ, რომ როჟესტვენსკიმ ეს მანევრი ცუსიმას ბრძოლაშიაც არ გაიმეორა“.

რუს აფიცრის წერილი. „სინ ოტეჩესტვა“-ში ერთის აფიცრის წერილია დაბეჭდილი. აფიცერი სწერს: მუკდენის ბრძოლაში ორჯელ თავი და ფეხი გამეკაწრა და ხელში დავიჭერ; ამიტომ თებერვლის გასულს სხვა დაჭრილ აფიცრებთან ერთად სასანიტარო მატარებლით ხარბინში წაველ. ხუთ დღეს ვისხედით საქონლის ვაგონებში, ჩალაზე გვეძინა გაუხდელად, როგორც მოგვხვდებოდა, ჩაითა და პურით მავდიოდით იოლად და ხან და ხან ცერცვის კონსერვებსა ვსჭამდით, ყველას გვესმოდა, რომ ასეთ გაჭირვების დროს კომფორტის [illegible] მიუახლოვდით, ცხელი კერძი მოგვინდა, რადგან ვიცოდით, რომ იქ კარგი ბუფეტი იყო. მატარებლის გაჩერების შემდეგ, ვაგზლისაკენ გავემართე. უნდა მოგახსენოთ რომ სასანიტარო მატარებელში პირდაპირ ბრძოლის პოზიციიდან ჩავჯექ სადგურ ხუშიტაიზე და მეტად ცუდი სანახავი გახლდი: გაქუცული ფაფახი, ჭუჭყიანი, აქა-იქ დამწვარი, დახვრეტილი, გახუნებული, მოკლე ტყავი, დაგლეჯილი, გაცვეთილი და დაგრეხილი ნაბდის ფეხსაცმელი, დაჭრილი ხელი ჭუჭყიან ტილოთი შეხვეული, ჭუჭყიანი ხელები, მტვრით სავსე სახე, ცალი ფეხი კოჭლი, მოუპარსავი წვერი და გაბურძგნული თმა,—აი ამ სახით შეველ პირველ კლასის ფარტო, ხუფთა, დეკადენსის გემოვნებაზე მოწყობილ ზალაში. იქ სიცოცხლე სდუღდა;—თითქმის ყველა სტოლი დაჭერილი იყო: იქ ისხდნენ გენერლები, აფიცრები, მოხელეები; ყველას სუფთა, თეთრ-წითელი, ჩასუქებული, სახე ჰქონდა, ყველას უნაკლო, სუფთა ტანისამოსი ეცვა. აქვე ტრიალებდნენ ვილაცა ქალები სულ ოქროსა და ხავერდის ტანისამოსით, უცნაურ შლაპებით და უცნაურ ბუმბულებით. ყველანი სჭამდნენ, სვამდნენ, ხმაურობდნენ. ღვინო წყალივით ისმოდა. როცა ზალაში შეველ და ცოტა წინ წავიწიე, შევნიშნე, რომ ბევრმა გაკვირვებით დამიწყო ცქერა. იქნებ, გეგონოთ, გულმტკივნეულობა და თანაგრძნობა იხატებოდა იმათ სახეზე? სულაც არა. ისინი პირიქით ზიზღითა და სიძულვილით მიცქეროდნენ. ეტყობა, ჩემმა ჭუჭყიანმა ტანისამოსმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ბედნიერ და მხიარულ მოქეიფეებზე. როგორღაც შევრცხვი. სადღაც შორს კუთხეში დავჯექ და ძლივს ველირსე ერთ სტაქან ჩაის, მადაც სულ დამეკარგა, საჩქაროდ დავლიე ჩაი და ამ დეკადენტურ ზალიდან გაველ. კარგად ვერავინ გავარჩიე, რადგან თვალებში ცრემლი მომერია, მრისხანე მტრის წინ. ბრძოლის საშინელ სურათებს არ მოუხდენიათ ჩემზე ისეთი ცუდი შთაბეჭდილება, როგორიც ამ ხალხმა მოახდინა. ამ გამოუთქმელ უსამართლობამ ისე მატკინა გული, რომ ტირილი დავიწყე; საშინელ ბრძოლის დროს არც ერთხელ არ შემცვლია ხმა, აქ კი ხარბინში ვიტირე.

აი ეს გახლავან ის რუსის ქრისტეს მოყვარე მეომრები, რომელნიც ყვირიან და სწერენ რუსეთის სახელისა, ეროვნულ თავმოყვარეობასა და ომის გაგრძელებაზე! იმათთვის ომის გაგრძელება სასარგებლოა: სხვისა წვალებითა, ტანჯვითა და სისხლით ისინი კეთილდღეობას იძენენ; შემდეგში ეს ვაჟბატონები დიდის რიხითა და ხელების ქნევით ყველგან ილაპარაკებენ თავიანთ გმირობასა და ღვაწლზე და დამამტკიცებელ საბუთად თავიანთ ორდენებს და ჯილდოს უჩვენებენ ყველას.

მე-კი ძველი კაპიტანი იმავ კაპიტანად დავრჩები და ჯილდოდ მექნება ჰრილობა გატეხილი ჯანი და გული, და ვალი. მხოლოდ ღამ-ღამე სიზმარში სანდეპუსა და მუკდენის საშინელი სურათები მომელანდებიან, ჩემს ბრძოლას გამახსენებენ და აშლილ ნერვებს უარესად ამაშლიან.

დიახ! ვაი იმას, ვინც მოპარვას ვერ ახერ[illegible] და კალოშებს არ ალმევს, პროტექცია არა აქვს და დიდი კაცის ჩამომავალი არ არის!

ახალი ამბავი

◆ ხვალ, 25 აგვისტოს, ნამესტნიკის საბჭოს წევრის ლეუნკოვსკის თავმჯდომარეობით, დაიწყება ტფილისის, გორის, სიღნაღის, თიანეთის და ბორჩალოს მაზრების **გადასახადთა ინსპექტორების კრება**. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი სანადელო მიწების გამოსყიდვის შესახებ.

◆ როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, ამ ბოლო დრომდე რუსეთში **გადასახადების აკრების საქმეში მთელი გლეხობა იყო პასუხის მგებელი**, ესე იგი არსებობდა ურთი-ერთი თავმჯდომარეობა. შარშან გამოცემულ მანიფესტის ძალით, ეს კანონი გაუქმებულ იქნა რუსეთის ამ გუბერნიებში, სადაც ერობაა შემოღებული. როგორც გავიგეთ, ეხლა მთავრობას განზრახვა აქვს ეს კანონი ჩვენშიაც გააუქმოს. კავკასიის ნამესტნიკს წინადადება მიუცია ამიერ-კავკასიის გუბერნატორებისთვის, საგუბერნიო გამგეობების და საგლეხო საქმეთა საკრებულოების შეერთებულ სხდომებზე განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რამდენად უზრუნველ ყოფილა ურთი-ერთის თავმჯდომარეობით სახაზინო გადასახადების მოკრება და ამ კანონის გაუქმება მისცემს თუ არა რაიმე შეღავათს მცხოვრებთ. ამ ბრძანების აღსასრულებლად ტფ. გუბერნატორმა წინადადება მისცა მაზრის უფროსებს და მომრიგებელ შუამავლებს, განიხილონ აღნიშნული საკითხი და თავიანთი აზრი, რაც შეიძლება ჩქარა წარადგინონ.

◆ რადგან ახალციხის მაზრაში ამ ბოლო დროს ქურდობა და ძარცვა-გლეჯა ძალიან გახშირებულა, ამ მაზრის **რამდენიმე სოფელს ყრილობა მოუხდენია**, დაუსახელებიათ ბოროტმოქმედნი და დაუდგენიათ, მიიღონ ყოველნაირი ხარჯი მათის სოფლებიდან გაძევებისთვის. ამასთან უთხოვნიათ სამაზრო ადმინისტრაციისთვის, რომ დასახელებული პირები გადასახლებულ იქმნენ უცხო ქვეყნებში.

◆ **ტფილისის სასულიერო სემინარიის** მთავრობამ დაადგინა, უკლებლად მიიღოს უკანვე ის მოსწავლენი, რომელნიც წელს დაითხოვეს.

◆ პიატიგორსკში ადგილობრივ **პოლიციას აღმოუჩენია ბერდანების, რევოლვერების და პატრონების საწყობი**. შეუპყრიათ ახალციხელი სომეხი ხორენ ხაჩკავანკციანცი.

◆ კავკავში ადგილობრივ გაზეთის სიტყვით, ელექტრონის ტრამვაიზე **ვატმანებად და კონდუქტორებად უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები შესულან.**

◆ როგორც ნამდვილად გავიგეთ, ხორცის დუქნების გამგე კამისიას გადაუწყვეტია, 14 სექტემბრიდან **დაკეტონ ქალაქის ხორცის დუქნები ათის დღით**, რომ აქტივი და პასივი ერთმანერთს გაუსწორონ.

◆ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ გუშინ-წინდელ სხდომაზე გადასწყვიტა მომავალ საზოგადო კრებას წარუდგინოს, სხვათა შორის, **ორი საყურადღებოდ მოხსენება**: 1) „სასურველი ტიპი ქართულ სახალხო სკოლისა“ და 2) „[illegible] წ.-კ. გამავრც. საზოგადოების მოღვაწეობას“. პირველის მოხსენების (სახალხო სკოლაზე) შემუშავება დაევალა გამგეობის წევრს პ. ა. გოთუას და ამასთანავე დადგინდა, ეთხოვოს პედაგოგთ ბ-ნთ იაკობ გოგებაშვილს, პ. სურგულაძეს, შ. ჩიტაძეს და ი. გომელაურს მონაწილეობა მიიღონ ამ მოხსენების შემუშავების საქმეში. ხოლო მეორე მოხსენების შედგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს საზოგადო ხელ-შემშლელ პირობებს „წ.-კ. საზოგადოების“ მოღვაწეობისას, მიენდო საზოგადოების მდივანსა და გამგეობის წევრს ბ-ნ ფირცხალავას. ორივე მოხსენება ორის კვირის განმავლობაში უნდა მზად იყოს. სახალხო სკოლის ტიპის შესამუშავებლად გამგეობამ საჭიროდ სცნო როგორც ზემოხსენებულ პირთა მოწვევა კომისიაში, ისე „საზოგადოების“ სკოლების ზოგიერთ გამგეთა დაბარებაც.

◆ **ს. მეჯვრისხევი.** 18 აგვისტოს, როგორც „ცნ. ფურც.“-ში იყო მოხსენებული, მოჰკლეს ადგილობრივი მემამულე თავ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ერისთავი, რომელიც მთელ ქართლში იყო ცნობილი. აი საქმე როგორ ყოფილა: სალამოს ოთხ საათზე თავის საკუთარ დილიჟანით გორიდან მეჯვრისხევში გამგზავრებულა. რადგან დილიჟანში ცხელოდა, კოფოზე, მეეტლის გვერდზე, დამჯდარა. როდესაც ს. ბერბუკისათვის მიუტანებიათ ვენახიდან უცბად თურმე ორჯელ ზედი-ზედ იგრიალა თოფმა. განსვენებულს ტყვია მოხვედრია მარჯვენა ბეჭის ფთაში და მარცხნივ ყელში გავარდნილა. მოუსწრია მხოლოდ ორიოდე სიტყვის თქმა. ამ სიტყვების თქმის შემდეგ ორჯერ თვითონაც დაუცლია ჰაერში რევოლვერი. შეშინებული მგზავრები, რომელთა შორის ქალი და განსვენებულის სახლის კაცი თავ. მირმანოზ ერისთავიც ყოფილან, მიხვევიან, მაგრამ ხუთის წუთის შემდეგ ხელში შემოჰკვდომიათ. ჩაუდვიათ დილიჟანში და თავის სახლში აუტანიათ. ამ რიგად პირველი კუბო მისი საკუთარი დილიჟანი გამხდარა.

◆ მთავრობას, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გადაუწყვეტია შემოდგომიდან **დაჰკეტოს თელავის სასულიერო სასწავლებელი**.

◆ სიღნაღის მახლობლად, „ტ. ლ.“-ის სიტყვით, **მოუკლავთ ზაქათალის სატყეო ნაწილის გამგე** კლემენკო. კლემენკო ომნიბუსით მიდიოდა თურმე. გაუძარცვნიათ იმასთან ერთად მიმავალი ჯანიბეგაშვილი და ბაიანოვი. მკვლელობა შურის ძიებით მომხდარა.

◆ ქუთაისის გუბერნიაში სამაზრო კრებები **საერობო დაწესებულებათა** შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად დანიშნულია 30 აგვისტოსათვის, ხოლო საგუბერნიო კრება 15 სექტემბრისათვის.

◆ ტფილისის გუბერნიაში ამავე საგნის შესახებ **კრებები მოხდება**. თელავისა—25 აგვისტოს, ახალციხისა—29 აგვისტოს, ტფილისისა—30 აგვისტოს, თიანეთისა და სიღნაღისა—1 სექტემბერს. სხვა მაზრების კრებები ჯერ არ არის გამოცხადებული.

◆ **ბაქო-ბალახანა-ბიბიებათში**, უკანასკნელის აღწერით, 44 ეროვნების ხალხი სცხოვრობს თურმე. უმრავლესობას რუსები შეადგენენ. სულ რუსი ყოფილა 73,589 სული, კავკასიელი თათარი—53,837 სული. სომეხი—34,258, სპარსელი—18,572, ებრაელი—5,859, გერმანელი—5,025, ყაზანელი თათარი—4,151, ლეკი—3,817, ქართველი—2,614, პოლონელი—1,548, მალოროსი—665, ბერძენი—627 და მარდოველი—516 სული.

◆ 22 აგვისტოს ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნებს კერძო თათბირი ჰქონდათ იმის გამოსარკვევად, რამდენად მართალია 21 აგვისტოს მიღებული დეპეშა რუსეთის სააგენტოსი **თათარ-სომხების შეტაკების შესახებ**. კრებამ დეპუტაცია აარჩია და სულ-

---

ფელეტონი

გზა-გზა ნაფიქრი

ამას წინად რკინის გზით მივდიოდი რუსეთისკენ. ჩვეულებისამებრ თანამგზავრები მალე გავეცანით ერთმანეთს, გავიგეთ ერთურთის ვინაობა და მისწრაფება. რაზედაც უნდა დაეწყოთ საუბარი ჩვენ დროში, უეჭველად თანამედროვე საყურადღებო საკითხებს შევეხებით.

ჩვენც ასე დაგვემართა, რასაკვირველია: შევიტყეთ ერთმანეთის აზრები დღევანდელ საჭირ-ბოროტო საკითხების შესახებ. მალე გამოჩნდა ვის მკვეთრად და ვის ბუნდოვნად უჭრიდა გონება. ზოგი ჭკვიანურად მსჯელობდა, თავიდან ბოლომდის გონიერება ეტყობოდა; ზოგი ჭკვიანურად იწყებდა და სულელურად ათავებდა, ზოგიც სულელურად იწყებდა და სულელურადვე ათავებდა ლაპარაკს. სულელთა მოსმენის დროს ძალა-უნებურად გამახსენდა ერთი გურული კაცის მოსწრებული ნათქვამი. ჰკითხეს, ამ ორი კაცის, ივანიკასა და მახარობლის, შესახებ რა აზრისა ხარო. უპასუხა, ივანიკა ნახევარი საათით უფრო ჭკვიანია მახარობლაზეო. როცა ამ გაუგებარ სიტყვების ახსნა სთხოვეს, სთქვა: ივანიკამ რომ ლაპარაკს დაიწყებს, ნახევარ საათის განმავლობაში ეჭვში ხარ, ვერ მიმხვდარხარ, სულელია თუ ჭკვიანი ივანიკა; ნახევარი საათის შემდეგ-კი ნამდვილად დარწმუნდები, რომ სულელი კაცი ყოფილა. მახარობელა-კი ენას რომ აალაპარაკებს, იმ წამსვე შეგატყობინებს თავის სისულელეს.

ჩვენ თანამგზავრებშიც ერივნენ, რასაკვირველია, ამგვარი ივანიკა-მახარობლიანი. სხვათა შორის ერთი აფიცერი, კაპიტანი, მიდიოდა ჩვენთან, რომელმაც მთელი მსოფლიოს ივანიკებსა და მახარობლებს გადააჭარბა სისულელით. ამ კაპიტანთან ლაპარაკებაც არ იყო საჭირო: პირდაპირ, შეხედავდით თუ არა, მაშინათვე დაინახავდით, რომ იმის მხრებს ამშვენებდა ქვეითა ჯარის კაპიტნობისა და იმის შუბლს სულელთა ჯარის გენერლობის „ზნაკი“. კაპიტანის თავი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დროებით თავის თანამდებობის ამსრულებელი უცნაური მანქანა, გოგოლის თქმისა არ იყოს, მოკაკუნებდათ მაღლა კუდ-აბზეკილ მწარე ბოლოკს. თავის კენწერო მეტად თხელი და ვიწრო ჰქონდა, შუბლზე და ბაკებში-კი ერთობ ტლანქი და განიერი. მაშინათვე შევატყობდით, რომ ამ კაცს სმა-ჭამა დიდად შესარგად გონების გარჯაში მავნებლად მიაჩნია. კი ერთობ მართლაც იგი ხშირ-ხშირად იღებდა თავის სამგზავრო კალათიდან მსხვილ-მსხვილ ლუკმებს, მადიანად ულაპაკა, და შემდეგ თხელ-თხელ და სისულელესა რთავდა.

კაპიტნის აზრით, მთელი დღევანდელი მოძრაობა იმიტომ გაიდიდა და გამძლავრდა, რომ იმის წინაამდეგ დროზე სასტიკი ზომები არ იქნა მიღებული [illegible], და უძრაობას იქ, კაპიტნის აზრით, კეთილდღეობას. „აბა ერთი მიბრძანეთ, რა მიზეზია, რომ არც ერთ სამხედრო სასწავლებელში, არც ერთ კადეტის კორპუსში არ მომხდარა გაფიცვა და მღელვარება?“ ცხარობდა კაპიტანი: „ამის მიზეზები ის გახლავთ, რომ იქ სასტიკი წესები, მკაცრი დისციპლინაა დაცული. თავის დღეში არ შევიყვან მე ჩემ პატარა სერიოჟას გიმნაზიაში და გიმნაზიაში და უნივერსიტეტში. ახლა კარგად დავრწმუნდი, რომ კადეტის კორპუსისთანა სასწავლებელი არ მოიძებნება მთელ რუსეთში“.

კაპიტნის სიტყვებს რაღაც გულის მომწყვლელი კილო ჰქონდა. ცხადად წარმოგიდგებოდათ გონება ვიწროდ შემოფარგლული ადამიანი, რომლის შორსმჭვრეტელობა ორიოდე ციდა მანძილს ვერ გასცილდება. ცხადად გამახსენა ამ კაპიტანმა ზოგიერთი ჩვენი ჩინოსანი და უჩინო, რომელთაც დღესაც სჯერათ, რომ ძალით ყველაფრის გატანა შეიძლება. საოცარი და თან საცოდავია ამგვარი რწმენა. იმაში უმაღლესი ეგოისტობა, თავის კერძობა გამოიხატება. ის, ვინც ძალას ხმარობს თავის მოყვასზე, პირველ ხანებში მორჩილებას ჰხედავს. ბრძანებას და ყურ-მოჭრილი ყმა ხმა-ამოუღებლად ასრულებს ბრძანებას. მბრძანებელს ძვალ-რბილში უჯდება ის რწმენა, რომ ცხოვრების შინაარსი ერთის მხრივ მძლავრთა ბატონობა და მეორეს მხრივ სუსტთა მორჩილებაა. თავის კერძო-ეგოისტი მბრძანებელი მხოლოდ თავის გულისთქმას უგვარდება. კარგად გრძნობს, რომ ბრძანებას მით უფრო ჩქარა ასრულებს მონა-მორჩილი, რაც უფრო მკაცრად ნატყორცნია ეს ბრძანება. ბატონს დარდიც არა აქვს იმისა, თუ რა ცეცხლი ტრიალებს მონა-მორჩილის გულში. იმას მონის ხელ-ფეხი სჭირია, საქმის ასრულება უნდა: მონის გულს კი იგი ვერ ხედავს და არც სურს იმაზე ფიქრი, რადგან სამსახურს მონის ხელ-ფეხი სწევს და არა გული. მონას შეუძლია ეს თავისი ცეცხლ-მოკიდებული გული თავისთვის შეინახოს, რაც უნდა ის მოუგვაროს, რადგან იგი არავისთვის საჭირო არ არის. ამ მხრივ თავის კერძობა-ეგოისტობას, როგორც ყოველნაირ სიცრუესა და სიავეებს, მოკლე ფეხები აბია და მეორე მანძილზე უჭრის თვალი. მბრძანებლობით გამოყვანილ ადამიანს არ ესმის, რომ ყმები და ბატონები ერთნაირად ჩნდებიან ამ ქვეყანაზე, ბუნებით თანასწორნი სულდგმულნი არიან, რომ ახალ-შობილ, ძუძუს ბალღებში ვერ გაარჩევ რომელი ყმაა და რომელი ბატონი. მხოლოდ შემდეგ ცხოვრების ულმობელი სასტიკი წყობილება შემთხვევით ყმებისაგან შობილთ ყმის დაღს ასვამს და ბატონიშვილთ ბრძანებლობის ტახტზე დაიბძანებს. ბატონს არ ესმის, რომ ყმის გული თავის დღეში ვერ შეეჩვევა ყმობას, როგორც ვერ შეეჩვევა ადამიანის სხეული მწარე მათრახის ცემას. მონა მხოლოდ არ აჩენს, გულის სიღრმეში ინახავს ზნეობრივ მათრახის დაწნეულ იარებს, ხოლო ადამიანური გული თან-და-თან სულ უფრო და უფრო უწყლულდება, სულ უფრო და უფრო სტკივა. მბრძანებელს არ ესმის, რომ არა-მარტო ქრისტიანულად, არამედ ყოველ-დღიურ პრაქტიკულადაც რომ შეხედოს ადამიანმა საგანს, მეგობრების ყოლა სჯობია მონების ყოლას. ყველაზე უმტკიცესი კავშირი ამ ქვეყნად გულთა კავშირია. მონა რკინის ბორკილითა ბატონზე მიჯაჭვული და ამ ბორკილს თან-და-თან სულ უფრო და უფრო ღრმად ღრღნის და ადნობს ის ჟანგი, რომელსაც მძულვარება ჰქვია სახელად. მონა სულ ისეთ დროს უცდის, ისეთ წამს უთვალთვალებს, რომ გაწყვიტოს თავის დამჩაგვრელს; მეგობარი კი თავისუფლად წრფელის გულით მიელტვის მეგობარს. უბედურების, ფათერაკის ჟამს, როცა მბრძანებლის მარჯვენა უძლურად ძირს დაეშვება და ენა [illegible] დაებმება, მონა ზიზღით და ნიშ-მოგებით ზურგს მოაქცევს და უმწეოდ დასტოვებს ბატონს. მეგობარი კი გაჭირვების დროს გვერდს უდგია და შველის მეგობარს.

გონება-ვიწროდ შემოფარგლული ბატონი ჯან-საღობის დროს სნეულებაზე არ ფიქრობს. როცა შშია, ბრძანებას გასცემს, მზა-მზარეულ საჭმელს მოართმევენ. დანაყრდება და ფიქრადაც არ მოსდის, თუ რა მწარე ჯაფის ნაყოფია მირთმეული საჭმელი.

იმ ადამიანს, რომელიც ჩემ თანამგზავრ კაპიტანს არა ჰგავს, ძალ-მომრეობის მომხრე არ არის, ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა ესმის და თანაუგრძნობს, უშიშრად შეუძლია იცხოვროს სოფელში. გურიაში რომ ვიყავი, თვითონ გლეხებმა მაჩვენეს ზოგიერთი მემამულე და მითხრეს, ესენი ჩვენი მეგობრები და კეთილის მოსურნენი არიანო. გლეხი ხომ ადამიანია, ადამიანური გული უცემს საგულეში და კარგად ესმის, ვინ როგორ ექცევა, ვინ რა თვალით უცქერის. ადამიანს კი არა, პირუტყვსაც ესმის ალერსი და მოფერება.

ახლაც შეხვდებით ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში გადახვეწილ მემამულეებს, რომელთაც დღესაც ვერ შეუგნიათ თავისი მდგომარეობა, ძალას, „ზაკუცკის“ შესტრფიან, სულ იმის იმედი აქვთ, რომ ეს „ზაკუცკა“ ადადგენს მათ უფლებებს და დაამშვიდებს აღელვებულ ხალხს. საბრალონი უსინათლონი! იმათ არ ესმით, რომ დღეს ძალა ვეღარავერს უშველის იმ მდგომარეობას, რომელიც ათასი წლის ძალადობის ნაყოფია. მერე როგორ უნდა დაუბრუნდეს ადამიანი ძალით დამშვიდებულ ხალხს, თავის სოფელს, როგორ უნდა იცხოვროს ამ ხალხში? ნუ თუ ჰგონია, რომ ძალით დამშვიდებული მტერი მეგობრად გაუხდება, ალერსით გაუღიმებს და ისევ მონა-მორჩილებას დაუბრუნდება. როგორც უჭკვიროდ, ისე ვერ გაძლებს კაცი სოფელში უმეგობროდ. როცა მეზობლების გული გამწარებულია, [illegible] მოსვენებული მაშინ სოფელში და ძალადობის მომხრე მტრებ შორის იქნება მომწყვდეული. ნუ თუ ჰგონია საბრალოს ვიღაც, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ყაზახ-რუსები ეყოლება გვერდში იმის მუდრეობის დასაცველად, რომ თვითეულ იმის მეზობელს სამუდამოდ თითო თითო ყაზახს ჩაუყენებენ დასამშვიდებლად!

სამწუხარო ფიქრებს მიღვიძებს ხოლმე ისეთი ადამიანი, რომელიც ხალხში სცხოვრობს და ხალხის გულის პასუხი არ ესმის, მხოლოდ თავის კეთილ-დღეობასა და მყუდროებაზე ფიქრობს. ამგვარი კაცი გონებითა და გულით დაბრმავებულია, რადგან ველური ინსტინქტი, ალღო მოსდევს, რომლის ძალითაც სიკეთედ მხოლოდ ის მიაჩნია, როცა იგი სხვისა სჭამს, და ბოროტებად ისეთი მდგომარეობა, როცა სხვები მას სჭამენ.

ი. ნაკაშიძე

თან-კრიმ-გირეისთან გაუგზავნა ნამდვილ ამბის გასაგებად. დეპუტაციაში იყვნენ თავ. ვ. ს. მიქელაძე, ა. ნ. ფურცელაძე, ექიმი ვესელოვზოროვი, ინჟინერი ფლორენსკი და თ. ა. მ. არღუთინსკი. დეპუტატები ღამის 11 საათზე დაბრუნდნენ და განაცხადეს, რომ ცნობა არც მთავრობას აქვს მიღებული და სულთან-კრიმ-გირეიმ სავალდ დეპეშა გაგზავნა ამის შესატყობადაო.

◆ 22 აგვისტოს **სამრევლო-საეკლესიო სკოლების სამაზრო მეთვალყურეთა კრების** დაწყებისას რამდენიმე დაინტერესებული კაცი მოვიდა და სთხოვა თავმჯდომარეს, რომ ნება მისცემოდათ კრებაზე დასწრებისა. თავმჯდომარემ ოდოევმა უარი უთხრა. ნება არ მისცა კრებაზე დასწრებისა აგრეთვე გაზეთების თანამშრომლებს. სხდომის დაწყებისას ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რამდენად კომპეტენტურია ეს კრება სასწავლო პროგრამის შედგენის საქმეში. რადგან ხალხმა სკოლები დაკეტა, ხოლო სკოლების ხელმძღვანელნი ამ კრების წევრნი არიან, ამიტომ მათი მოქმედება ხალხისათვის კრებამ უსარგებლოდ სცნო. სასწავლო გეგმა, კრების აზრით, საუკეთესო პედაგოგების დახმარებით უნდა იქნას შემუშავებულიო. კრებამ დაადგინა გეგმის პროექტის შესადგენად მოწვეულ იქმნენ პედაგოგები ი. ს. გოგებაშვილი, ცვეტნიცკი, დ. კარიჭაშვილი, ა. ნ. ნატროშვილი და კორხანიძე. რომელსაც განსაკუთრებული კომისია გეგმას შეიმუშავებს, დაბეჭდილი თითო ცალი დაურიგდება რედაქციებს, სამღვდელოებას და პედაგოგებს გასაცნობლად. შემდეგ იგი საბოლოოდ განსახილველ დასამტკიცებლად წარედგინება დეპუტაციას და პედაგოგთა საზოგადო კრებას. ამ საკითხის შემდეგ მთელი სხდომა კრებამ მოანდომა იმ წინადადების განხილვას, თუ რამ გამოიწვია ქართველი ხალხის უკმაყოფილება სამრევლო საეკლესიო სკოლების მიმართ. კრების აზრით, ერთი უმთავრესი მიზეზი უკმაყოფილებისა უნდა იყოს არსებული სასკოლო რეჟიმი და პროგრამა. კრების გაგრძელება მოხდა გუშინ, 23 აგვისტოს.

◆ **ავლაბრელებს განსაკუთრებული კომისია ამოურჩევიათ,** რომელმაც უნდა იზრუნოს ავლაბრის პროგიმნაზიისა და ექვს კლასიან სკოლისთვის საკუთარ შენობის აგების შესახებ.

◆ კავკასიის უმაღლესს მთავრობას **სამხედრო სამართალში მიუცია** ქუთაისის გუბერნიის გლეხები გრიგოლ ლომაია და ალექსანდრე შურგაია. პირველს ბრალდება ფოთში 14 მარტს ჟანდარმის ვესიუკევიჩის მოკვლა, მეორეს—ამ მკვლელობაში დახმარება.

◆ **სიღნაღის მაზრის სოფელ თუქჭრმიშაში მცხოვრებ რუსის გლეხებს უთხოვნიათ მომრიგებელ შუამავლისათვის, დამატებით ნადელებად მიეცესთ ალაზნის ნაპირზე მდებარე იმ ადგილის ნაწილი, რომელიც ეხლა იჯარით ჰქონიათ აღებული.**

◆ **გორის მაზრის სოფელ ბორჯომში მცხოვრებ რუსის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ მიეცეთ თავისუფალი მიწები ახალციხის მაზრის სოფელ აწყურში.**

◆ **წმ. მიძინების კათოლიკეთა ეკლესიის სამზრუნველო საბჭომ სთხოვა გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობას—შეგვატყობინეთ როდის გახსნით ზუბალაშვილის სახლის შეუძლოთა თავ შესაფარს, რომ იმ დროისთვის შეუძლონი და უპატრონონი გამოვნახოთ თავშესაფარში მისაღებადაო. სამზრუნველო თხოულობს აგრეთვე ერთი მისი წევრი საბჭომ მიიღოს იმ კომისიაში, რომელსაც დავალებული იქნება სახლის მართვა-გამგეობა.**

◆ **დუშეთის მაზრის პირველ განყოფილების მომრიგებელ შუამავლის ივანე ზაქარიაძის ნაცვლად, რომელიც ავადმყოფობის გამო ორის თვით სამსახურს დაეთხოვა, თანამდებობის აღსრულება მიენდო შუამავალს შიხმალიევს.**

◆ ამ დღეებში სოფელ საგარეჯოს ორი მცხოვრები სანადიროთ წასულა ტყეში. იქ შეხვედრიათ იქაურივე გლეხი ჭკუიდან შეშლილი და რაღაცაზე ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც მონადირეებს ის გლეხი მოუკლავთ.

◆ ამ დღეებში, პოლიციის მე-9 ნაწილში, პოლიციელს ბარანოვს ქუჩაში 11 საათზე მიმავალი ექიმი ვ—ძე დაუჭერია და პოლიციის ნაწილში წაუყვანია სრულიად უსაფუძვლოდ. პოლიცმეისტერმა გამოძიება მოახდინა და აღმოჩნდა, რომ ბარანოვი მთვრალი ყოფილა. ჯერ ორის კვირის ვადით ბარანოვი სამსახურიდან გადააყენეს და შემდეგ, როგორც შევიტყვეთ, სულ დაითხოვეს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. სამაზრო საერობო თათბირში დასასწრებლად, ქალაქის საბჭომ აირჩია თავის წარმომადგენლად გ. ზდანოვიჩი, ნაზაროვი, ქიქოძე, გვაზ ესიანი და ჰილაძე.

ყვირილა, 22 აგვისტო. სოფელ ღვანკითში შეტაკება მოხდა საერობო დარაჯთა და ხალხს შორის. მოკლული აღმოჩნდა ოთხი სოფლელი, ღვანკითში საქმის გამოსაძიებლად საჩქაროდ გაიგზავნა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი.

ნატანები, 22 აგვისტო. ყაზახების მიერ ამორჩეულ ადგილას, ვაშნარში გაძარცვეს ოზურგეთიდან დილიჟნით მიმავალი მგზავრები.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“-ს გაუგია, რომ ხმელეთისა და ზღვის ყველა ძალების მთავარ-სარდლად შორეულ აღმოსავლეთში ისევ ლინევიჩი დარჩება. იგივე იქნება ხელმწიფის მოადგილეთ შორეულ აღმოსავლეთში.

გადასახლების შესახებმა მმართველობამ საკითხი აღძრა იმის შესახებ, რომ, რადგანაც ომი უკვე გათავდა, შეღავათი მიეცეს ციმბირში გადასახლებულთ იქიდგან წასვლის დროსო. გადასახლებულთა საქმის მოსაწესრიგებლად ითხოვენ 6 მილიონ მანათის კრედიტს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში თხოვნები შემოაქვთ, ფულები გვასესხეთ თავადაზნაურთა ურთი-ერთის დამხმარებელ კასის დასაარსებლადო. ყველა შუამდგომლობა დაუკმაყოფილებლად იქმნა დატოვებული.

„სლოვო“-ში დასტამბულია სტატია „მიწის მოუწყობლობა კავკასიაში“. რომელშიაც აღნიშნულია, რომ კავკასიაში მიწის საქმის კარგად მოწყობის ერთ მთავარ მტერთაგანი მიწის საკუთრებაზე საჭირო დოკუმენტების არ ქონაა; ეს დოკუმენტები, უმეტესად, დაწესებულებებშია დაკარგული. უკანასკნელ წლების გამოკვლევამ სასამართლოს მიერ მოსპო დავა იმიერ კავკასიის მიწების მხოლოდ 4%-ზე. დანარჩენი ნაწილი იურიდიულად უპატრონოდ გდია, რაც ფართო ასპარეზს აძლევს ძალმომრეობას და არა იშვიათი მოვლენაა სახელმწიფო მიწების მითვისება სხვის მიერ. კერძო მიწადმფლობელობა იზრდება გლეხობის კეთილდღეობის საზარალოდ. საკუთრების უფლების განუმარტებლობა-კი დიდად აფერხებს კულტურულ წინმსვლელობას.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 30 აგვისტოს ქუთაისში მოხდება სამაზრო სათათბიროს სხდომა კავკასიაში დაწესებულებათა შემოღების შესახებ. ქალაქ ქუთაისის მხრივ ამ თათბირში მონაწილეობას მიიღებს ქალაქის ოთხი წარმომადგენელი, რომელთაც ირჩევს ქალაქის საბჭო. მათი არჩევნები 23 აგვისტოს მოხდება. ამჟამად საბჭოს მზადება აქვს კანდიდატების დასასახელებლად.

◆ მასწავლებელთა კრების მიერ არჩეულმა კომისიამ მ. კელენჯერიძის თავმჯდომარეობით უკვე შეიმუშავა ახალი პროგრამა დაწყებით სახალხო სკოლებისათვის და წარუდგინა ქალაქის მოურავს დ. ა. ლორთქიფანიძეს. უკანასკნელი ამ დღეებში მოიწვევს მასწავლებელთა კრებას ამ პროგრამის გადასასინჯავად.

◆ 11 აგვისტოს ქალაქის საბჭოს საგანგებო სხდომამ, რომელსაც მხოლოდ სამი ხმოსანი დაესწრო, დაადგინა პურის არსებულ ნიხრის მომატება: ყოველ ხარისხის პურს მიემატოს თითო—ოკაზე თითო კაპეიკი; ამგვარად 1 ხარისხის პური უნდა იყიდებოდეს ოკა 12 კაპეიკად, მეორესი—11 კაპ. და მესამესი—ორ შაურად. ბ-ნი ვიცე-გუბერნატორი ძლიერ სამძიმოდ სცნობს ამ ჟამად ნიხრის მომატებას, განსაკუთრებით მესამე ხარისხის პურზე, რომელსაც ხმარობს ქალაქის მცხოვრებლების უღარიბესი ნაწილი და წინადადებას აძლევს ქალაქის მოურავს, ხელმეორედ განხილულ იქმნეს მეფურნეების თხოვნა ნიხრის მომატების შესახებ 23 აგვისტოს საბჭოს საგანგებო სხდომაზე, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას ხმოსანთა საკმაო რიცხვი დაესწროს.

◆ ქალაქის გუდარის ქვის მაღნების მუშები გაიფიცნენ და მოითხოვეს სამუშაო ფასების მომატება; საზოგადოდ თხოულობენ ეხლანდელ ფასების 40%—60% მომატებას. გაიფიცნენ მეურმეებიც, რომელთაც გუდარიდან ქუთაისში ჩამოაქვთ ქვა. ისინი თხოულობენ ქირის მომატებას 30%—50%-დის. ამ გაფიცვების გამო ქალაქში მუშაობა შეწყვეტილია.

◆ მესაათეებისა და მებრილიანტების ქარხნები და მაღაზიები, სამი კვირის გაფიცვის შემდეგ მოურიგდნენ ოსტატებს სამედიატორო სამართლის წესით და 20 აგვისტოს კიდეც დაუბრუნდნენ მუშაობას. სამედიატორო სამართალმა მათ მოთხოვნათა უმეტესი ნაწილი დააკმაყოფილა. სხვათა შორის, ქარხნების ჯამაგირების მომატების შესახებ შემდეგი დაადგინეს: იმ პირთ, რომელთაც ეძლევათ თვიურად 5—10 მანეთი, მოემატოთ ეხლანდელი ჯამაგირის 35% (ქარხნები კი 70%-ის მომატებას თხოულობდნენ); ვინც 10—20 მანეთს იღებს—25%; ვინც 20—30 მანეთს—20%, ვინც 30—40 მანეთს—15%; ვისაც 40—60 მანეთი ეძლევა—12½% და ვინც 60 მანეთს იღებს—10%; ერთის სიტყვით, ყველას მოემატა იმის ნახევარი, რამდენსაც თხოულობდნენ. ამასთან დადგენილ იქმნა ამ გაფიცვის დროს გაცდენილ დღეებში ქარხნებს მიეცეთ ნახევარი ჯამაგირი. სასამართლოს განჩინებით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

თათრებისა და სომხების შესახებ ბაქოში

ხელ-ახლა დაიწყო ბაქოში ჟლეტა-ხოცვა თათრებსა და სომხებს შორის. ამასთან ხოცვა ეხლა უფრო ძლიერია და დაუნდობელი. პირველად სისხლი 18 აგვისტოს დაიღვარა. სხვა და სხვა ნაირად ხსნიან შეტაკების მიზეზებს. ზოგის აზრით, საქმე ასე მომხდარა. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, 17 აგვისტოს ბაქოში გაფიცვა დაიწყო. გაიფიცნენ, სხვათა შორის, ტრამვაის მოსამსახურენი. გაფიცულთა ნაცვლად მესამე დღეს ვაგონები სალდათებმა გამოიყვანეს. გაფიცულებმა დაინახეს ეს, სროლა ასტეხეს, სალდათებმა პასუხი გასცეს. ქალაქში გაისმა თუ არა სროლის ხმა, თათრებსაც და სომხებსაც უფიქრიათ, ხელ-ახლა დაიწყო შეტაკებაო და შესდგომიან ერთმანეთის ჟლეტას.

ზოგის აზრით, მიზეზი ერთის სომხისა და თათრის შეტაკება ყოფილა. აქედან დაუწყვიათ სროლა. საქმე გამწვავებულა უფრო 20, 21 და 22 აგვისტოს. ჯარი ყოველ ღონესა ხმარობს, მაგრამ გამძვინვარებულ და ერთმანეთის სიძულვილით გამხეცებულ ხალხისთვის ვერა გაუწყვია-რა. 21 აგვისტოს ყოველის მხრიდან თოფების ჭახა-ჭუხი ისმოდა. დახოცილთა შორის თათრებსა და სომხებს გარდა არიან მრავლად რუსები და ქართველები. 22 აგვისტოს სროლა შუაღამიდანვე ამტყდარა. შეშინებული ხალხი გარედ აღარ გამოდიოდა. ქუჩებში ყველგან მოკლულთა გვამები ჰყრია. ყველაზე ბევრი ხალხი ამ დღეს დახოცილა. ამავე დღეს ჯართანაც მოსვლია ხალხს შეტაკება. მოკლულები ჯარშიაც არიან.

22 აგვისტოს, შუადღისას, ცეცხლი წაჰკიდებია ნავთის ქარხანას საბუნჩში. ერთის საათის შემდეგ საბუნჩა სულ ერთიან ალში იყო თურმე გახვეული. მოკლულებს გარდა დიდძალი ხალხი დაიწვა ცეცხლში. საბუნჩას გარდა ცეცხლი სხვა ადგილებშიაც გაჩენილა. ცეცხლს განგებ უკიდებენ თათრები სომხების სახლებს, სომხები თათრებისას.

გუშინ, 23 აგვისტოსაც, სროლაში ჩაუვლია, თუმცა ისე ძლიერ აღარ, როგორც 22 აგვისტოს. შერიგებისა გუშინაც არაფერი ისმოდა. ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა, რადგან სანოვაგე სულ აღარ იშოვება. შეშინებულან ძლიერ რკინის გზის მოსამსახურენი და სამუშაოდ აღარავინ გამოდის.

ბაქოს გენ.-გუბერნატორმა ორი განკარგულება მოახდინა. ერთით აკრძალულია საღამოს რვა საათიდან დილის ექვს საათამდე ქუჩებში გამოსვლა, მეორეთი იმ სახლს, საიდანაც თოფი ან რევოლვერი გავარდება ჯარი სროლას დაუწყებს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ კავკავის გზიდან აღარ მიიღონ ბაქოსკენ გასაგზავნი დატვირთული ვაგონები. არ მიიღება ბაქოში გასაგზავნი საქონელი აგრეთვე ბათუმისა და ფოთის ნავთსადგურებში.

შუშაში

გუშინ მოვიდა დეპეშა. იტყობინებიან იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია თათართა და სომეხთა შორის შეტაკება შუშაში. 16 აგვისტოს რაღაც მიზეზისაგან წაჩხუბებულან კერძო პირები. ამ ამბავს ქალაქის მცხოვრებნი აუშფოთებია და ყველას იარაღისთვის წაუვლია ხელი და დაუწყიათ სროლა. სომხები თათრების უბნებში შეცვივნულან, თათრები სომხებისაში. ამ დღეს მრავალი მომკვდარა და დაჭრილა. ასე ყოფილა საქმე 17 აგვისტოს. 18 აგვისტოს უფრო გაძლიერებულა.

19 აგვისტოს შეკრებილან სამღვდელო პირნი და გავლენიანი მოქალაქენი და ქალაქში პროცესიით და ჯვარებით გაუვლიათ. 20 აგვისტოს ღამე დაუწვავთ ერთის მოქალაქის სახლი. 20 აგვისტოს საქმე უკიდურესობამდე მისულა. ამ დღეს სამღვდელოების პროცესია ქალაქში სწორედ იმ დროს გამოვიდა, როდესაც სოფლიდანაც მოსულა შეიარაღებული ხალხი. როგორც იქმნა, იმ დღეს ხალხი დაუწყნარებიათ.

შუშის გარემო სოფლებსა და აგრეთვე განჯის გუბერნიის მაზრების მცხოვრებთა შორის შეტაკება ბევრგან მოხდა, ხოლო დაწვრილებით ჯერ არაფერია მიღებული. დაახლოვებით ამ ოთხი დღის განმავლობაში დაიწვა და დაინგრა 200-ზე მეტი სახლი, ხოლო დაიჭრა და მოიკლა ორივე მხრით 200-მდე კაცი. ცნობა გუბერნატორის ბარანოვსკის დაჭრის შესახებ მართალი არ არის.

გაზეთ „არშალუის“-ის რედაქციას შემდეგი დეპეშა მოუვიდა გუშინ შუშიდან თავის კორესპონდენტისაგან:

„დავათვალიერე დამწვარი ნაწილი ქალაქისა; სრულიად განადგურებულია; 200-მდე სახლია გადამწვარი სომხებისა; გადაუწვავთ აგრეთვე სამხედრო საავადმყოფო, ქალაქის გამგეობა, მომრიგებელი სასამართლო, ბაზარი, თეატრი; არაფერი გადარჩენილა. საავადმყოფოში მოუყვანიათ 76 დაჭრილი სომეხი; მოკლულია 48 სომეხი. ჯარის-კაცი 14 დაზარალდა. თათარი ძალიან ბევრია მოკლული.

მაზრაში ცეცხლი უკიდია სომხის ყველა ფაბრიკებსა და ქარხნებს. ზანგეზურის მაზრაში მოკლულია 19 სომეხი; გერუსის მაზრაში ჯერ მშვიდობიანობა ჰსუფევს, თუმცა თათრები გარს ახვევიან სომხებს“.

სოფლად

შორაპ.-იმერეთი. როგორც ამას წინად გატყობინებდით, 19 აგვისტოს ქუთაისის ახლად დანიშნული გუბერნატორი ა. ვ. სტაროსელსკი ეწვია ს. სვირს. შუა დღის პირველი საათი იყო, როცა ბ. სტაროსელსკი ქუთაისის მაზრის ადმინისტრაციის თანხლებით მოვიდა სვირის სასოფლო კანცელარიაში. აქ შეხვდა მრავალი ხალხი, რომლის საპატიო წარმომადგენელნი შეხვდნენ პურ-მარილით და რამდენიმე გულწრფელად გამოთქმულ სიტყვაში გამოაცხადეს იმედი, რომ ბ. სტაროსელსკი, როგორც კარგი მცოდნე ხალხის ჭირ-ვარამისა, ძალას და ღონეს არ დაიშურებს ხალხის დახმარებისათვის.

ბ. სტაროსელსკიმ რამდენიმე სიტყვით მადლობა გადაუხადა ხალხს ასეთი კარგი შეხვედრისათვის და შემდეგ ამისა შეკრებილთ დაახლოვებით შემდეგი უთხრა: „15 წელიწადზე მეტია თქვენ შორის ვცხოვრობ და ამ ხნის განმავლობაში შეძლების დაგვარად ვცდილობდი შემემსუბუქებინა თქვენთვის ის აუტანელი მდგომარეობა, რომელიც გამოიწვია ფილოქსერის გაჩენამ და თქვენი ვენახების მოსპობამ. ყველა ჩემმა ცდამ და რჩევამ უნაყოფოდ არ ჩაიარა თქვენთვის და მოსპობის გზაზე დამდგარი თქვენი სიმდიდრე—ვენახები კვლავ განახლდენ და უკეთეს მდგომარეობაში არიან დღეს, ვიდრე ფილოქსერის გაჩენამდე იყვნენ. დღეს ხელმწიფის ბრძანებით მე შეუდექი მთელი გუბერნიის მმართველს; ასპარეზი ჩემი მოღვაწეობისა გაფართოვდა და ამით შემთხვევა მეძლევა მთელი ჩემი ძალღონე შევალიო თქვენი მდგომარეობის გაუმჯობესობას და თქვენი დახმარებით და ნდობით გამოვიყვანოთ ხალხი იმ აუტანელ მდგომარეობიდან, რომელშიაც დროთა ვითარებით ჩავარდნილნი არიან.

თქვენ გაგებული გექნებათ, რომ ჩვენს მხარეს ებოძა ერობა, რომელიც საშუალებას მოგცემთ თქვენ თითონ იზრუნოთ თქვენ შინაურ საქმეებზე. აქამდის გადასახადის გაწერა, გზებისა, სკოლების, ჯანმრთელობის და სხვა საქმეზე ზრუნავდა ადმინისტრაცია და ერობის შემოღების შემდეგ თქვენ ჩაგბარდებათ თქვენს თავზე ფიქრი და მეცადინეობა, ამიტომ გირჩევთ თქვენ წარმომადგენლად სამაზრო საბჭოში აირჩიოთ ისეთი კაცი, რომელიც გამსჭვალული იყოს თქვენის ინტერესებით, იცოდეს თქვენი ავი და კარგი, თქვენი საჭიროება, რომ ჯერ სამაზრო საბჭოში და მერე გუბერნიისაში ნამდვილი ჭირისუფლობა გაუწიოს თქვენს ინტერესებს. წარმომადგენლის არჩევა მოხდება თავისუფლად,—თქვენ საარჩევნო კრებას ადმინისტრაციის წარმომადგენელი არ დაესწრება და დარწმუნებული ვარ თქვენ შესაფერ კაცს აირჩევთ.

შემდეგ ამისა ბ. სტაროსელსკიმ სთხოვა შეკრებილთ, რომ მათ გულ-ახდილად ეთქვათ მისთვის ყოველი საჩივარი და მოთხოვნილება და აღუთქვა, რომ ძალას და ღონეს არ დაიშურებს, რომ დაეხმაროს ხალხს.

ერთ დამსწრეთაგანი შეეკითხა ბ. სტაროსელსკის—შეუძლია თუ არა ხალხს აირჩიოს წარმომადგენელნი და იმათ პირით გამოსთქვას თავისი სურვილები და როცა ბ. გუბერნატორმა ამაზე თანხმობა განუცხადა, მაშინ იმავე პირმა ითხოვა, რომ ლაპარაკს მაზრის ადმინისტრაცია არ დასწრებოდა. ეს სურვილიც შეიწყნარა ბ. სტაროსელსკიმ და სვირის ეკლესიის გალავანში გამართა ბაასი, რომელმაც სამ საათზე მეტი გასტანა. როცა წარმომადგენლები ელაპარაკებოდნენ ბ. სტაროსელსკის, ხალხი, რომლის რიცხვი 1000 კაცს აღემატებოდა, იქვე იყო შეკრებილი და გულ-მოდგინეთ ისმენდა ბაასს.

ლაპარაკი დაიწყო ერთმა ახალ-გაზდა სვირელმა გლეხმა და სთქვა შემდეგი: „ასმა წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც ჩვენმა ქვეყანამ თავისი ბედი შეუერთა რუსეთს იმ იმედით, რომ ჩვენი ტანჯული სამშობლო განვითარებისა და ეკონომიური აღორძინების გზას დაადგებაო. ჩვენი იმედი არ გამართლდა. დღეს ხალხი უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე 100 წლის წინად იყო. ჩვენი პიროვნება და ქონება უზრუნველ ყოფილი არ არის; სწავლის საქმე ახალ-თაობის დამახინჯების გზაზე დგას; ხალხს წართმეული აქვს ყოველივე უფლება თავის მართვა-გამგეობაში; ძალ-მომრეობა და პიროვნების დამცირება გამეფებულია; ერთი სიტყვით არ არის ისეთი მხარე ჩვენ ცხოვრებაში, რომ იმედს იძლეოდეს უკეთესი მომავლისას. ხალხის მდგომარეობის დასახასიათებლად ორატორმა სხვათა შორის აცნობა ბ. სტაროსელსკის სვირის მამულების დავის საქმე. რუსეთთან შეერთებამდის და მერეც წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებამდი სვირელები უდავიდარაბოთ ფლობდნენ თავის მამულს, როგორც მესაკუთრენი. ოთხმოციან წლებში სახელმწიფო მამულების გამგემ აღძრა დავა, რომ სვირი სახელმწიფო მამულია და ეს დავა დღევანდლამდისაც არ გათავებულა. ორატორის გამოანგარიშებით დღემდის ეს დავა სვირელებს დაუჯდათ არა ნაკლებ ნახევარ მილიონისა და რა [illegible] კიდევ, ეს ღმერთმა იცის. ამისთანა პირობებში, განაგრძო ორატორმა, ერობის შემოღება მალამოს ვერ დასდებს ჩვენს წყლულებს და ვიდრე ხალხს არ მიენიჭება საყოველთაო არჩევნების უფლება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელი იქნებაო. მეორე ორატორმა აღნიშნა ის გარემოება, რომ 1864 წლის დებულება ერობის შესახებ, არჩევნების უფლებას აძლევს მდიდრებს და ამიტომ გლეხ-კაცი მცირე მონაწილეობას მიიღებს თვითმმართველობის საქმეში და ვერც ერობის შემოღება დაგვაკმაყოფილებსო.

გუბერნატორმა უპასუხა, რომ 1864 წ. დებულება არჩევანის უფლებას აძლევს სხვათა შორის სოფლის საზოგადოებათ განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა საზოგადოების წევრს რამე ქონება, თუ არა და, ეს კი რომ არ იყოს, ერობის საქმეში უმიწო-წყლოს ხმა ვერ მიეცემა მარტო იმ მოსაზრებით, რომ ხარჯის გაწერაში ეს კატეგორია ამომრჩევლებისა თავისუფალი იქნება ყოველი გადასახადისაგან, ხოლო ხარჯის გაწერის უფლება-კი ექნება. არსებითად ასეთი პირობის შექმნა უსამართლობა იქნება. რაც შეეხება საყოველთაო არჩევნების უფლებას, ბ. გუბერნატორის აზრით, ეს კითხვა არ ეხება ერობას და არც მის კომპეტენციას შეადგენს, რომ სასურველი მიმართულება მისცეს მის გადაწყვეტილებას. აქვე ბ. სტაროსელსკიმ დასძინა, რომ 1864 წლის საერობო დებულება განსახილველია სამაზრო და საგუბერნიო საბჭოების მიერ და თუ საბჭოები საჭიროთ დაინახავენ, რომ ადგილობრივი პირობების მიხედვით უნდა შეიცვალოს იმ მხრით, რომ შემცირდეს ცენზი, მეტი წარმომადგენელნი ეყოლოს მაზრას და კერძოთ სოფლის საზოგადოებას, მაშინ სამაზრო საბჭოების მოსაზრებათ განიხილავენ ნამესტნიკის საბჭოში ხალხის წარმომადგენლების თანადასწრებით და ყოველივე მოსაზრება მიღებულ იქნება მხედველობაში და დებულებაც ამისდაგვარად შეიცვლებაო.

ამას გარდა გუბერნატორმა მიაქცია დამსწრეთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ თუ აქამდის გადასახადი, გზის გაკეთებას შეეხებოდა იგი, მღვდლის შენახვას თუ სხვა საგანს, მარტო გლეხს ხვდებოდა, ერობის შემოღების შემდეგ გადასახადი განაწილდება ყველა წოდებაზე იმის დაგვარად, ვის რამდენი მამული აქვს.

მიუხედავად ასეთის განმარტებისა, დამსწრეთ განაცხადეს, რომ ერობის შემოღება მათ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს. შემდეგ ამისა ერთმა წარმომადგენელმა გუბერნატორს რამდენიმე ადგილობრივი საჭიროების დაკმაყოფილება სთხოვა, რაზედაც გუბერნატორმა თავის დახმარება აღუთქვა და უთხრა, რომ ის ყოველთვის მზად იქნება მოისმინოს ხალხის საჭიროება და რაც-კი შესაძლებელი იქნება დახმარებას აღმოუჩენს.

დასასრულ ერთმა წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ბ-ნ სტაროსელსკის, რომ მან გულდასმით მოისმინა ხალხის საჭიროება და თან დახმარებაც აღუთქვა ხალხსა.

კლდე

პატარა საქმე

(ავლაბრელ საზოგადოების საყურადღებოდ)

ჩადგა შემოდგომა და ვინ იცის რამდენი სცენის მოყვარეთა დასი აღმოჩნდება ავლაბრის სცენაზე! სამმა უკვე დაიწყო (ორმა სომხურად და ერთმა ქართულად) სეზონი წარსულ კვირებში როგორც, შევიტყეთ. ამის გარდა კიდევ რამდენიმე დასი სდგება და შეიძლება შემდეგში სხვაც აღმოჩნდეს, ვინ მოსთვლის! სწორედ რომ სთქვას კაცმა, ამ „დასებში“ სულ ექვსი კაცი არ გამოირჩევა ისეთი, რომლებიც სცენისათვის გამოდგებიან. დანარჩენი კი თითქმის სულ მცირე წლოვანი ბავშვები არიან.

თუ სცენის მოყვარეთა დასია ბევრი, ნაკლები არც დრამატურგი მოიპოვება. ამ დრამატურგებმა მრავალი პიესა შესძინეს სცენას, ქართულ-სომხურ ენაზე ორიგინალური თუ თარგმნები. ამათ შორის ზოგი ისეთი შეთითხნილია, რომ მაყურებელს სცენას შეაზიზღებს და დიდებულ შექსპირის პიესების ნახვასაც-კი შეაზარებს. მაგალითად ავიღოთ ქართულად: ტერ-გრიგორიანის „ოსტ-ჰასტუტოდას შვილი“, ბაჯაშვილის—„მათუზას ანდერძი“, გიორგი მჭედლიშვილის—„დატანჯული“ და გაბრუაშვილის „ბრძოლა არსებობისათვის“; ხოლო სომხურად დომოიანის „ორი დარაჯი“, ჩობანკორიანის—„არსენა“, ფირუმიანის—„ჯერ დახოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და მრავალი სხვა. ჰო და, აბა ყველა ესენი გასინჯეთ და მაშინ გაიგებთ, რანი ბრძანებულან ავლაბრელი დრამატურგები!

მაგრამ რა ჰქმნას მაყურებელმა, არ ცოდნა, არ ცოდვაა,—ნათქვამია. ავლაბრელი მაყურებელი გონებით ჯერ კიდევ დაბლა სდგას და, თუმცა თეატრის წყურვილი დიდი აქვს, მაგრამ ვერ არჩევს ხეირიანს უხეირო პიესისაგან.

თუმცა პიესებიც უვარგისია და სცენის მოყვარენიც უხეირონი არიან, მაგრამ მაინც თეატრში პირველ ხანად მრავალი ხალხი დაიარება, რაიც ნიშანია იმისა, რომ ხალხს თეატრის სურვილი უკვე გაჰღვიძებია. სამწუხაროდ, ხეირია-

ნი წარმოდგენები ავლაბრის ვერც ერთ თეატრში ვერ იმართება. ყველაზე მეტი ბრალი ამაში ხსენებულ თეატრების დირექციას ედებათ, რადგან იმათ წყალობით კარი ღიაა ყველასთვის, ვინც უნდა იყოს, ოღონდაც „ფინანსი" ჩაუჩხრიალოს.

როგორც ნამდვილის წყაროებიდან გავიგეთ, ყველა ამისთვის ყურადღება მიუქცევია ახალგაზრდობის ერთ ჯგუფს, ამ ჯგუფს უკვე შეუდგენია „სცენის მოყვარეთა ამხანაგობა", რომელიც სექტემბრიდან შეუდგება ავლაბრის ერთ-ერთ თეატრში ქართულ სახალხო იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვას. ეს ფრიად სიმპატიური საქმეა, თუ სისრულეში მოიყვანეს, რადგან ერთის მხრით გადაარჩენს ავლაბრელებს სცენის მოყვარეთა „ექსპლოატატორებისაგან", მეორეს მხრივ შეაჩვევს და შეაყვარებს ხალხს რიგიან და აზრიან წარმოდგენებს. განზრახული მოიწვიონ დახელოვნებული სცენის მუშაკნი. სხვათა შორის, ხსენებული ამხანაგობა უფასო სამკითხველოს გახსნასაც აპირებს ავლაბარში. იმედია, ამგვარ კეთილ საქმეს გვერდს არ აუხვევს ავლაბრის საზოგადოება და ხელს შეუწყობს, რითაც კი შეეძლება.

მაგრამ საჭიროა, ამ ამბავს ყველაზე მეტი ყურადღება მიაქციოს ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ. იმის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს, ხელმძღვანელობა და მატერიალური დახმარება გაუწიოს ამ გვარ საკეთილო საქმეს! რამდენადაც ვიცი, საზოგადოების გამგეობას აზრადა აქვს ავლაბარშიც კამართის წარმოდგენები, ეს საქმე საზოგადოებას ძალიან გაუჭირდება, ამიტომ ისა სჯობია ხსენებულ ამხანაგობას დაეხმაროს და მკვიდრად მოაწყოს.

ურიგო არ იქნება აქვე გავაცნოთ მკითხველებს წრის სახელმძღვანელოდ შემუშავებული წესდება:

1. ამხანაგობის საგანია: მართოს ქალაქ ტფილისის განაპირა უბნებში (განსაკუთრებით ავლაბარში) ქართული იაფ-ფასიანი წარმოდგენები და თუ საჭიროდ დაინახა პროვინციებშიაც გაგზავნოს ხოლმე სცენის მოყვარეთა დასი. აგრეთვე თუ მოსახერხებლადა სცნო, უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოც დააარსოს, რათა ხელი შეუწყოს განაპირა უბნის ღარიბ მცხოვრებთ გათვითცნობიერების საქმეში, როგორც იაფ-ფასიან სახალხო წარმოდგენებით, ისე უფასო სამკითხველოთი.

2. ამხანაგობის წევრად ითვლება ყველა ის, განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სქესისა, ვინც წლიურად სამ მანეთს გადაიხდის და თუ ერთის წლის განმავლობაში არ გადაიხადა საწევრო, იგი უფლებას ჰკარგავს წევრობისას.

3. ამხანაგობის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 500 კაცს, რომელთა რიცხვში არა სცენის მოყვარენიც უნდა იყვნენ.

4. ამხანაგობა ერთის წლით ირჩევს: ა) გამგეს, ერთის კანდიდატით, ბ) მდივანს და გ) ხაზინადარს. ამათი მოვალეობაა როგორც წარმოდგენების მოწყობა-მეთვალყურეობა, ისევე წიგნთ-საცავ-სამკითხველოსიც და ყველაფერში პასუხის გება მთავრობის წინაშე.

5. ამხანაგობავე ირჩევს განსაკუთრებით სცენის მოსაწყობად და სცენის მოყვარეთა შესავსებად ხუთ კაცს, რომელთა მოვალეობას შეადგენს: ა) ამოირჩიონ სცენისათვის გამოსადეგი პირნი—ქალი და ვაჟი; ბ) თუ ამხანაგობაში არ აღმოჩნდენ რიგიანი სცენიი მოთამაშენი, მოიწვიონ გარეშე პირნიც, ისე კი რომ ამხანაგობის პრინციპი არ შეილახოს; გ) ამოირჩიონ პიესები, როგორც დროს შეეფერებოდეს.

6. თუ საჭიროდ დაინახა, „ამხანაგობა" გადასწყვეტს ერთ-ერთ ჩვეულებრივ კრებაზე, რომ გამოსცეს იაფ-ფასიანი სახალხო წიგნები „ტფილისის სცენის მოყვარეთა ამხანაგობის" სახელით.

7. აგრეთვე ერთის წლით ირჩევს სირევიზიოდ სამ კაცს, რომელნიც მოვალენი არიან ანგარიში გაუწიონ წარმოდგენების შემოსავალ-გასავალს და წიგნთ-საცავ-სამკითხველოს წიგნების რაოდენობას.

8. ამხანაგობის თანხას შეადგენს: ა) წევრთაგან შემოტანილი საწევრო ფული; ბ) შემოწირულება წარმოდგენების და სამკითხველოს სასარგებლოდ.

9. როგორც ჩვეულებრივი, ისე საგანგეო კრება კანონიერად მაშინ ჩაითვლება, როდესაც წევრთა ნახევარზედ მეტი დაესწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრება გადაიდება და ხელ ახლა დაინიშნება ორის კვირის შემდეგ იმავე საგნების განსახილველად, მაშინ კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც დაესწროს.

10. ამხანაგობის ჩვეულებრივი კრება მოწვეული იქმნება გამგის მიერ წელიწადში ერთხელ, აგვისტოში, ხოლო საგანგებო კრებას მოახდენს ყოველთვის იმ საქმეების განსახილველად და გადასაწყვეტად, რომელთა გადადებაც შეუძლებელია.

11. დამფუძნებელ წევრებად ჩაითვლებიან ისინი, რომელნიც სურვილს განაცხადებენ წევრობისას პირველ არჩევნებამდე.

12. ჩვეულებრივ კრებაზე საქმეები გადაწყდება წევრთა ხმის უმრავლესობით და არჩევნები მოხდება კენჭის ყრით—ცხადად ან ფარულად, როგორც კრება მოისურვებს.

რუსეთის ქრონიკა

ტუსაღის გაქცევა მეთვალ-ყურეების დახმარებით. სევასტოპოლის სამხედრო სატუსაღოდან 14 აგვისტოს გაიპარა ფელდმანი, რომელსაც დიდ დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდება. ფელდმანი შესამჩნევ მონაწილეობას იღებდა „პოტემკინზე" მომხდარ აჯანყებაში. ტუსაღისთვის გაპარვის დროს დახმარება გაუწევიათ კარის დარაჯსა და სატუსაღოს მეთვალყურეს. ესენიც ფელდმანთან ერთად გაქცეულან. („რ. ს").

„გიორგი პობედონოსეც"-ის აჯანყების საქმე. ჯავშნიან გემ „გიორგი პობედონოსეც"ზე მომხდარ არეულობა-აჯანყების საქმე დანიშნული იყო განსახილველად 16 აგვისტოსთვის. ბრალდებულთა დამცველებად უთვიდან პეტერბურგიდან ნაფიცი ვექილები ზარუდნი, თავ. ერისთავი, სოკოლოვი, ზელიგერი და კალმერშტეინი და მოსკოვიდან—მაკლაკოვი და ტესლენკო. მოსამართლეთა სხდომა საქმის განსახილველად თვით ამ გემზე მოხდება თურმე. („რ. ს.").

მებატონის ვოიტენკოს მამულის აკლებისა და იმის შვილის მოკვლისთვის სასამართლომ ბალტაში 4 კაცს კატორღა გადაუწყვიტა, ცხრას—პატიმართა როტაში გაგზავნა და ერთს დატუსაღება. („ნ. ჟ.").

ექიმ-ფერშლებისაგან უარი ჰყოფა სამსახურისა. სარატოვის გუბერნიის პეტროვის მაზრაში ექიმები და ფერშლები სამსახურზე უარს აცხადებენ თურმე. („ნ. ჟ.").

აგრარული მოძრაობა-არეულობისა გამო ვორონეჟში სხვა და სხვა სასჯელი გადაუწყვეტიათ 77 გლეხისთვის. („ნ. ჟ.").

უმაღლესი სასწავლებლები. 11 აგვისტოს მოხდა მინისტრთა თათბირი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დაწყების შესახებ. თავმჯდომარეობდა საერო განათლების მინისტრი გენერალი გლაზოვი და მონაწილეობას იღებდა პოლიციისა და ჟანდარმების უფროსი გენერალი ტრეპოვი. გენერლების გლაზოვისა და ტრეპოვის აზრის თანახმად, მინისტრთა კრებას დაუდგენია, მიიღონ სასტიკი ზომები სწავლის განსაახლებლად. (რ.).

ახალი მინისტრი. თანდაიან მრავლდება ხმა შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის გადადგომის შესახებ. საზღვარ-გარეთელი გაზეთები დამტკიცებით ამბობენ, რომ ბულიგინი თავს ანებებს მინისტრობას და იმის ადგილას კიევის, პოდოლის და ვოლინის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფს გრაფ იგნატიევს ნიშნავენ. (ს. ო.).

ალლუმები აღარ მოხდება. საზღვარ-გარეთელ გაზეთების სიტყვით, წელს რუსეთში დიდი ალლუმები აღარ მოხდება. მიზეზად ასახელებენ არეულობებს. (ს. ო.).

პოლიტიკურის მხრივ არა საიმედო მოხელე. პსკოვის გუბერნიის ოპოჩკიდან სწერენ გაზეთებს, რომ იქ დაუჭერიათ საერობო სამართველოს ერთი მოხელე, როგორც პოლიტიკურის მხრივ არა საიმედო კაცი, ფეხში ბორკილი გაუყრიათ და ასე მიუყვანიათ პსკოვის სატუსაღოში. ამ გარემოებას საშინლად აუღელვებია ადგილობრივი საზოგადოება. (ნ. დ.).

ოფიცერის დაჭრა. 16 აგვისტოს პეტერბურგის სამხედრო სასამართლოში გაურჩევიათ მოსკოვის პოლკის ერთი სალდათის ომელჩენკოს საქმე, რომელსაც დაუჭრია ოფიცერი თანამდებობის ასრულების დროს. („ს. ოტ.").

ჯავახეთ-ახალციხის სამღვდელოების კრება

16—17 აგვისტოს სოფელ ზედათმოგვში დეკანოზ დ. ხახუტაშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ჯავახეთ-ახალციხის სამღვდელოებისა. კრებამ პირველად მოკლედ გაიცნო, რა გააკეთა ქართლ-კახეთის საეპარქიო სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ 28—31 მაისს. მოისმინა 31 მაისის ინციდენტიც.

შემდეგ კრება შეუდგა საქმეების განხილვას. კრებამ, ორი დღის კამათის შემდეგ დაადგინა: 1. გამოეცხადოს თანხმობა ქართლ-კახეთის სამღვდელოების 28—31 მაისს კრების დადგენილებათ, რადგან ამ კრებას ჯავახეთ-ახალციხის სამღვდელოება სრულიად არ დასწრებია; 2. თანახმად საეპარქიო საბჭოს დადგენილებისა, დაიხუროს ყველა სასულიერო სასწავლებელი და არავინ გაგზავნოს იქ ბავშვი იმ დრომდე, ვიდრე არ მოისპობა სკოლის ეხლანდელი უკუღმართი მიმართულება. 3. რადგან ჟურნალი „სასულიერო მოამბე საქართველოს საექსარხოსოს" იმის გარდა, რომ დიდ ხარჯს თხოულობს უიმისოდაც დაღარიბებულ ეკკლესიებისაგან, შეიცავს სამღვდელოების დამამცირებელ და პატიოსნების შემბღალავს წერილებს, დღეიდანვე მოისპოს გამოწერა ამ ჟურნალისა და ყველა ის ნომერი, რომელიც წელს არის მიღებული, უკანვე დაუბრუნეს რედაქციას; 4. მედავითნეებს და მთავრებს, მათის თხოვნის თანახმად, მიეცეთ მესამედი მეოთხედის ნაცვლად, იქ, სადაც ორი მედავითნეა, ორი მეხუთედი მანეთისა პრიჩედნიკებს უნდა მიეცეთ, ხოლო დანარჩენი მღვდელს. ამასთან დახმარება აღმოუჩინოს მეორე რიგის მედავითნეებს პირველ მედავითნეს ადგილის შოვნაში და თუ ადგილი დაიცალა, სხვა კუთხიდან არავინ მიიღონ, ვიდრე ადგილობრივ მედავითნეებს ადგილი არ მიეცემათ; 5. რადგან ბლაღოჩინის თანამდებობა დროებით მოისპო, ხოლო საბლაღოჩინოებს შინაური მართვა გამგეობა ესაჭიროება, რომ საეკლესიო ფულსა და ქონებას არავინ ცუდის განზრახვით ხელი არ შეახოს, არჩეულ იქნას ექვსის კაცისაგან განსაკუთრებული საამხანაგო სასამართლო, რომელმაც უნდა განაგოს საქმეები. სასამართლოში აარჩიეს 4 მღვდელი, ერთი მედავითნე და ერთიც მთავარ-დიაკონი. 6. რაც შეეხება დრამას, ყოველმა მღვდელმა მიიღოს დრამის ფულად იმდენი, რამდენსაც მრევლი გაიმეტებს.

დასასრულ თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ იგი მიწვეულია სამრევლო-საეკლესიო სკოლების სამაზრო მეთვალყურეთა კრებაზედ და ითხოვა გამოერკვია, რა გზას დაადგეს სამღვდელოება, სკოლების სასწავლო პროგრამის საქმეში. კრებამ დაავალა თავმჯდომარეს, სხვებთან ერთად შეეცადოს რაც შეიძლება პროგრამა ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით იქნეს შემუშავებული.

წერილები

აჭარა. აჭარაში, ამ უკანასკნელ დროს ბევრგან მოხდა ძარცვა-გლეჯა. გაძარცვეს რამდენიმე ალაგას აჭარლები, ართვინელი კათოლიკები და სომხები. ძარცვა-გლეჯის მიზეზად აჭარელებს ერთობის მქადაგებლები, ე. ი. ქართველები მიაჩნიათ. ეს გარემოება დიდად სამწუხაროა და სავალალო, რადგან ამ ერთობის დროშის ქვეშ თავს აფარებენ სხვა და სხვა მავნე პირნი, რომელთაც ერთობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ რა. თუ ამ გარემოებას რამე საკურნებელი წამალი არ მოევლინა, შედეგი ერთობ ცუდი მოჰყვება, რადგან მრავალნი ალაპყრობენ ხელებს და დაიწყებენ კულანდებურად ძახილს, რომ ქართველები გვხოცავენ და ჩვენც სამაგიერო უნდა გადავუხადოთო.

კახაბერში გასძარცვეს სამი ართვინელი მაჰმადიანი, ერთი სომეხი, ორიც აჭარელი, ყველა შეუძლონი. აჭარელთ წაართვეს ვაშლის განაყიდი ფული; ამ გარემოებამ ისე შეაშინა აჭარელნი მაჭახლელნი, რომ ბათუმში ჩასვლას დიდად ერიდებოდნენ და აღარც არაფერი ჩაჰქონდათ გასასყიდად. უნდა მოგახსენოთ, რომ ბათუმს აქედან ძრიელ ბევრი სანოვაგე ჩააქვთ.

აჭარის სოფ. უჩხითში ამას წინად ერთი კაცი მოჰკლეს, მეველუდ მინდიით ოღლი (მინდიაშვილი). დღემდე ამ მიცვალებულის გვამი დაუსაფლავებელია. ექიმს და გამომძიებელს ელიან. სხეული აყროლდა და იხრწნება.

პირველ აგვისტოს სიცხეებში, კარაბეხში მოჰკლეს ჭანელი იუსუფა. მიზეზი მკვლელობის გახლდათ შემდეგი: იუსუფა ქობულეთში გადასულა, იქ სოფელ ჩაქვში მოუკლავს ერთი ქართველი მაჰმადიანი და იქიდან წამოსულა. მოსულა კახაბრის სოფ. ხელვაჩაურში და მოუკლავთ.

აჭარაში უკვე გაჩნდნენ ისეთი მეიჯარადრენი, რომელნიც რკინის გზისთვის შპალებს ეზიდებიან. ეს პირველი მაგალითია და ამიტომ მეიჯარადრეთ ტყის პატრონებთან საქმე ცოტა უჭირდებათ, შემდეგ-კი, როცა ამის გატანის საქმეს აქ მოაწესრიგებენ-კი, აჭარას კაი სავაჭრო და საალებ-მიცემო ძალა შეემატება. ამიტომ შეიძლება დიდ-ძალი ხე გაიტანონ.

აჭარის სოფელს ჰინკაძეებში 5 აგვისტოს მოჰკლეს მემედ ჰინკაძე. ამ პირს ამავ სოფელში ერთი ჰინკაძე მოუკლავს და მერე მისი ქვრივი ცოლად შეურთავს. მკვლელების მიზეზად ამას სთვლიან.

აჭარლებს და მთლად ქართველ მაჰმადიანებს წესად ჰქონიათ, რომ ერთის ძუძუთ ნაწოვნი სხვა და სხვა პირთა შვილები თითქმის და-ძმებად ითვლებიან და მათი ცოლ ქმრობა შეუძლებელიც არის. ერთს დედა კაცს ერთის ყმაწვილისთვის ძუძუ უწოვებია, ეს ყმაწვილი გაზდილა და დღეს უკვე მოსწრებულს თავის ძიძის ქალი შეუცდენია, ამ გარემოებისაგან ქალის ნათესავები ძრიელ აღელდნენ, თავიანთის ადათით ბიჭი ქალის ძმად ჩასთვალეს, ამიტომ ითხოვეს მისი დასჯა, სოფ. სალორეთს დააპატიმრეს, მერე ქედას წარადგინეს და აქედან ბათუმს გაგზავნეს საპატიმროდ. **ზ. ჭ.**

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბ-ნო რედაქტორო!

არა ერთხელ იყო აღძრული საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყობილიყო დალაქ-პარიკმახერთა მატერიალური და ფიზიკური მდგომარეობა. ეხლა მთავრობის მიერ გამოიცა კანონი ხელოსანთა შესახებ, რომელშიაც აღნიშნულია სამუშაო დღის რაოდენობა (იხილე ამ კანონის მე-480 და 431 მუხლები) სადაც ნათქვამია რომ მუშაობა უნდა იწყებოდეს დილის 6 საათიდან და თავდებოდეს საღამოს 6 საათზედ, 2 საათის დასვენებით დღეში; კვირა დღეებში-კი მუშაობა უნდა შესწყდეს. გარდა ამ კანონისა, ჩვენ, კერძოდ დალაქ-პარიკმახერებმა საერთო გაფიცვის დროს შევიკრიბენით სახელოსნო სამმართველოში მოსალაპარაკებლად და ხმის უმეტესობით დავადგინეთ შემდეგი: გვემუშავნა დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდის. კვირაობითა და საუფლისწულო დღესასწაულებში კი მთელი დღე დაკეტილი გვქონოდა, რაზედაც ხელი მოვაწერეთ ყველამ, როგორც დალაქებმა, ისე პარიკ-მახერებმა, რასაკვირველია პატრონებმა. მიუხედავად ამ დადგენილებისა, ზოგიერთმა, უმეტესად დალაქებმა, დაარღვიეს ეს საერთო დადგენილება და კვირა-უქმეებში მაინც იმუშავეს. რომ ამას არა სასიამოვნო შედეგი მოჰყვეს, ამიტომ ვალად ვრაცხ ჩემ თავს, როგორც ამქრის უსტაბაშმა, გამოვაცხადო დალაქთა საყურადღებოდ და გავაფრთხილო, რომ მეორედ აღარ იმუშაონ კვირაობით და უქმე დღეებში.

დალაქთა უმრავლესობის მონდობილობით, დალაქთა ამქრის უსტაბაში **გიორგი მეტრეველი**

II

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადოთ, რომ ბახვის საზოგადოების ხუთმა სოფელმა სახელდობრ: ბახვმა, ფამფალეთმა, ვაკიჯვარმა, უჩხუბმა და ბალდადმა საერთო კრებაზე დაადგინა: ამ სოფლებში მოისპოს საეკლესიო დღესასწაულებზე სტუმრობა, რომელიც მავნებელი და საზარალოა. ამიტომ სტუმრებს ვთხოვთ დღეობაზე ნუღარ მობრძანდებიან.

სოფლების მინდობილობით

იოსებ გორდელაძე.

III

ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული უსიამოვნება მგზავრებს და ტრამვაიზე მოსამსახურე პირთა შორის. ერთი ამისთანა უსიამოვნების მოწმათ ვიყავი ამ თვის 20 რიცხვში, რომლის დროსაც უდანაშაულოდ მეც შეურაცხმყვეს. დარწმუნებული ვარ, რომ შეგნებული ნაწილი ტრამვაიზე მოსამსახურეთა არ მოიწონებს თავიანთ ამხანაგობის საქციელს. ამიტომ ვიწვევ რამდენსამე პირს, ამხანაგობის მიერ ამორჩეულთ, რომ გამოირკვიონ საქმე და დასდონ შესაფერი მსჯავრი. ჩემი ადრესი:

კუთხე კიროჩნი და დიდი-მთავრის ქუჩებისა. სახლი სვანიშვილისა № 11.

ექიმი გ. მუსხელაშვილი.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

23 აგვისტო

პეტერბურგი. გაზეთების ცნობით, ერთი მახლობელ რეფორმათაგანი ნამდვილ სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება იქნება. ფაქტიურად სამსახურში მხოლოდ ორს წელიწადს იქნებიან. განზრახულია განსაკუთრებული ყურადღება ჯარში წერა-კითხვის გავრცელებას მიექცეს.

პარიზი. იაპონიის მისია გადაჭრით არღვევს ხმებს იაპონიაში რევოლიუციის დაწყების შესახებ.

პორტ-სმუტი. ხელშეკრულობაზე არ მოუწერიათ ხელი. ამიტომ [illegible], რომ სეკრეტრები თვითონ სწერავენ აქტს ვინაიდან საიდუმლოების დაცვა უნდათ. საგანგებოდ გამოწვეული გადამწერლები სახელმწიფო დეპარტამენტისა არ მიუშვეს საქმეზე.

პორტ-სმუტი. ხელშეკრულობაში შეტანილ დამატებაში ნათქვამია, რომ როგორც რომ ხელს მოაწერენ ხელშეკრულობას, მაშინათვე დროებით ზავი ჩამოვარდება, რომლის შემდეგ ჯარებმა უნდა შესწყვიტონ წინ სვლა დაშქრად და თავიანთ ადგილებზე იყვნენ. რწმუნებულთ გაუგზავნეს დეპეშით ხელშეკრულობის ტექსტი თავიანთ ხელმწიფეებს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

22 აგვისტო.

პეტერბურგი, 22 აგვისტო. დღეს, დილის 10 საათზე, სპარსეთის შაჰი პეტერგოფიდან პეტერბურგს წავიდა, სადაც საზამთრო სასახლეში მიღება იყო დიპლომატიურ კორპუსისა და წარუდგა პეტერბურგის ქალაქის დეპუტაცია. საღამოთი მისი უდიდებულესობა პეტერგოფს დაბრუნდა.

მოსკოვი. უნივერსიტეტში 31 აგვისტოს პარაკლისს გადიხდიან და 1 სექტემბერს სწავლის დაწყებას ფიქრობენ. მოსკოვმა ომის საჭიროებისთვის დახარჯა ერთ მილიონზე მეტი ფული.

ბრომბერგი. შაბათიდან ოფიციალურად აღმოჩნდა 7 ხოლერით ავადმყოფი.

რომი. „ტრიბუნა" არღვევს ცნობებს, ვითომც რევოლიუცია დაწყებულიყოს იაპონიაში კაბელის დაგლეჯა ტაიფუნის გამოიწვია.

პარიზი. შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ყოველი ღონისძიება იქნა მიღებული ხოლერის საფრანგეთში შემოტანის წინაამდეგ.

ბერლინი, 22 აგვისტო. გუშინ გრაუდენცსა და მოკერში თითო-თითო, ტორნში-კი ორი შემთხვევა იყო ხოლერისა.

პარიზი. „ტროკადერო"-ში გაიხსნა თავისუფლად—მოაზრეთა სიეზდი. ბერლიოც დენიმ ის აზრი გამოსთქვა სიტყვაში, რომ შორეულ-აღმოსავლეთში ზავის ჩამოგდება ამერიკის დიდებულ დემოკრატიის საქმეაო. მან ძლიერ შეაქო საფრანგეთი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისთვის. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციით თანაგრძნობა გამოეცხადა მალიატოს და მოითხოვეს მისი განთავისუფლება.

პარიზი. დიპლომატიურ წრეების განცხადებით არაფრით არ მტკიცდება ხმები იაპონიაში რევოლიუციის დაწყების შესახებ.

სტამბოლი. სულთანმა უთხრა სომხების სამღვდელოებას, რომელმაც მას უქვეშევრდომილესად მიულოცა ტახტზედ ასვლის დღე, რომ ერთი-ორის ბოროტ-განმზრახველის სომხის გამო ის მთელს სომხობას არ დაუწყებს დევნას.

პეტერბურგის ბირჟა 23 აგვისტო 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	87,62½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	90
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	450
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 866 წ.	354
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	298
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
5½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	87

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლღას ქუჩაზე № 4/а, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული ბელგოროდ ლოკაშ.

გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისტვოს) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—30)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (80—49)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—24)

ბუჰგალტერიის და საკანტორო ცოდნის კურსები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წლიწადი მეექვსე)

კურსებზე ისწავლიან: ბუჰგალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო კორესპონდენციასა და სავაჭრო უფლებას.

სწავლა დაიწყება 1905 წ. 14 სექტემბერს, კურსი გაგრძელდება 6 თვეს. სწავლა 3-ჯერ კვირაში საღამოობით. კურსების მსმენელებად მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნე პირნი სქესის განურჩევლად. ფასი 40 მან. კურსის განმავლობაში.

თხოვნებს იღებს ტფ. საკომერციო სასწავლებლის დირექტორი ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე, საკომერციო სასწავლებლის კანცელარიაში. (6—4)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქის ქუჩ, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდებ. ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი. მ. კ.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნჭული, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
დვინის დაქცევა, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან გ. ეუნგულოვისა	1	—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მიკრობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ვუგზავნით.

Доз. ценз. Тифлисъ, 26 Августа 1905 г.

Печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ამხ—სა